ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 13 (1387) | 11-22 ივნისი, 1994 წ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია წერილი

«ლიტერატურული საქართველოს» რედაქტორს

ნოდარ ნათაძე

ბატონო რედაქტორო, თავს ნაკლად ვუთვლი იმას, რომ პასუხს ვერ ვცემ ყველა ცილისწამებას ჩემს მიმართ, რომელიც იბეჭდება ან გადმოიცემა. არ მყოფნის არც დრო, არც, სამწუხაროდ, პუბლიკაციის საშუალებები.

მაგრამ ამჯერად იძულებული ვარ, შრომა არ დავიშურო, რადგან ბრალდებები, რომელსაც მიყენებთ (პირდაპირ ან გადაკვრით), ძალიან მძიმეა. ამასთან, ხდება მკითხველისთვის ორი უაღრესად სახიფათო და მავნე აზრის ჩაგონება.

პირველი: ქურდ-ბაცაცები და სახელმწიფოს დამანგრევლები მხოლოდ ჩვენ, ძველი ნომენკლატურა კი არ ვართ, დღეს რომ საჭე გვიჭირავს, არამედ თქვენც, პატრიოტებიო.

მეორე: ქართველები ყველანი ქურდ-ბაცაცები ვართ და ამიტომ რუსეთის კალთის გარეშე ვერ გავძლებთო.

ის, რასაც ამჯერად გაახლებთ, მხოლოდ წინასწარი პასუხია. მე აღვწერ ვითარებას ისე, როგორც არის, ანუ არ გთავაზობთ ჩემ მიერ აღწერილი სურათის დამტკიცებასაც სათანადო საბუთების გამოყენებით. ჩემს პასუხში ვასხვავებ იმას, რაც ჩემით ვიცი ფაქტებთან კონტაქტის შედეგად, იმისგან, რაც სხვათაგან ვიცი. მართლაც ისე არის საქმე, როგორც ვწერ, თუ სხვაგვარად, ეს, დაე, პროკურატურამ დაადგინოს (რადგან იმაშიც, რასაც თქვენ მეუბნებით, და იმაშიც, რაც მე მაქვს სათქმელი თქვენს მიმართ, საპროკურორო მასალა დიაღაც არის). სრულ პასუხს მაშინ მოგართმევთ, როცა დამთავრდება სამართალდამცავი ინსტანციების მუშაობა ამ თემაზე.

თქვენს პუბლიკაციაში სამი თემაა. გიპასუხებთ ცალ-ცალკე.

პირველი თემაა ჩემი შუამდგომლობა კრედიტის შესახებ. ჩემს პასუხს დავყოფ პუნქტებად.

I. მე ვშუამდგომლობ მთავრობასთან „აფხაზეთის საერთაშორისო ფონდისთვის“ კრედიტის გამოყოფაზე „ისეთი ნივთების შესაძენად, რომელიც ჩვენს პროფილს შეესაბამება“. მე არ ვიცნობ „აფხაზეთის საერთაშორისო ფონდს“ (იგი თვალით არ მინახავს), მაგრამ ვიცნობ საქმეს, რომლის დაფინანსებაც უნდა მოხდეს, და იმათ, ვინც მომმართავს თხოვნით მთავრობასთან შუამდგომლობის შესახებ და ვინც ზემოხსენებული საქმის ორგანიზატორნი არიან. ამ ჯგუფში წარმოდგენილია პარლამენტი და თავდაცვის სამინისტრო. (ამიტომაცაა აღნიშნული ჩემს მიმართვაში მთავრობისადმი, რომ ამ საქმეზე შუამდგომლობს თავდაცვის სამინისტრო). ამ ჯგუფის შრომით მიღწეული გარიგება უცხო ქვეყანასთან, ჩვენთვის საჭირო ნივთების მოწოდების შესახებ, რომელსაც საქმე ეხება, კარგი (ანუ ხელსაყრელი და სამომავლოდ პერსპექტიული) გარიგება იყო. მის შექმნას თვეები დასჭირდა. მის დაფინანსებაზე (რასაც თავდაცვის სამინისტრო ვერ გასწვდა) მეც დავხარჯე არცთუ მცირე ამაო შრომა მთავრობაში მისვლის და უშუალოდ ბიუჯეტიდან მისი დაფინანსების თხოვნით. შედეგი, სამწუხაროდ, ნული იყო. ამიტომ — და მხოლოდ ამიტომ — გახდა აუცილებელი თავდაცვის სამინისტროს თხოვნა და ჩემი შუამდგომლობა ზემოხსენებული გარიგების **არაპირდაპირი** დაფინანსების („აფხაზეთის ფონდისათვის“ კრედიტის მიცემით დაფინანსების) შესახებ. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. ეს ხდება 1993 წლის 6 სექტემბერს, როცა უკვე დადებულია 27 აგვისტოს ხელშეკრულება „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“, სოხუმიდან უკვე გამოყვანილია ჩვენი იმ დროს ყველაზე ძლიერი იარაღი-არტილერია და მძიმე ტექნიკა — და სოხუმში შეყვანილია მოსახლეობა. როგორ ხდება მოწინააღმდეგის ტექნიკის გაყვანის „შემოწმება“, ესეც ამ დროს უკვე ვიცით. გულუბრყვილო ბავშვისთვისაც კი ნათელია, რომ სოხუმში უახლოეს დღეებში კატასტროფა გველის. მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებაში (რომელსაც, არ დაგავიწყდეთ, **არ ვეკუთვნი**) ე.წ. „პარადული კეთილდღეობის“ განწყობილება სუფევს. ისინი ჯიუტად იმეორებს, რომ ყველაფერი კარგადაა და საქართველოს ბრძენმა ხელმძღვანელობამ კონფლიქტის მშვიდობიანი დამთავრება შესძლო. (როგორც ვიცით, საბრძოლო მოქმედება განახლდა 16 სექტემბერს და დასრულდა 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით). ამ დროს მთავრობისაგან **პირდაპირი** დაფინანსების მიღება სათავდაცვო საჭიროებისათვის პრაქტიკულად გამორიცხულია. ამიტომაც იძულებული ვართ, ვითხოვოთ არა **პირდაპირი** დაფინანსება ზემოხსენებული ფორმით. როგორც უკვე ვთქვი, ამავე პროექტის პირდაპირი დაფინანსებისათვის მანამდე ბევრჯერ ვიყავი მთავრობაში (და, ბუნებრივია, თავდაცვის ფონდშიც), მაგრამ ამაოდ. ჩემი მოვალეობა იყო — და ყველა სხვა მოქალაქის მოვალეობა იყო — ყველაფერი გველონა, რათა ჩვენი არმია მეტ-ნაკლებად მზად ყოფილიყო ომის განახლებისათვის. მეც ჩემი ვალი პირნათლად მოვიხადე. იმის სრული უგულებელყოფით, თუ რას მეტყოდა მომავალში რომელიმე უსირცხვილო კაპიტულანტი ან ინტრიგანი.

2. შუამდგომლობაზე უარი მეთქვა. ამის შემდეგ მე სრული უფლება მქონდა, დამვიწყებოდა იმ „აფხაზეთის საერთაშორისო ფონდის“ არსებობა, რომელიც თვალით არ მინახავს. მე რომ ოფიციალური შეკითხვა მიმეღო ამ თემაზე და კუთვნილი 10 დღე მომცემოდა პასუხისათვის, მაშინ მოვძებნიდი იმ შუამდგომლობის ტექსტსაც და ბანკის წერილსაც „ფონდისადმი“ (პროცენტი გადაგვიხადეო), რომლის ასლი მე გამომიგზავნეს შემდეგ. მაგრამ ვინაიდან ასეთი კითხვა არ მიმიღია, მე არც ვიყავი ვალდებული, ეს ძებნა ჩამეტარებინა.

3. აქამდე რაც მოგახსენეთ, ჩემი **საკუთარი** ინფორმაცია, ანუ უშუალოდ ფაქტებიდან ამოკრეფილი ინფორმაცია გახლავთ. ახლა მოგახსენებთ გაგრძელებას, რომელიც უშუალოდ ფაქტებთან კონტაქტით კი არ ვიცი, არამედ სხვათაგან შეტყობილი მაქვს.

ჩემთვის უარის თქმის შემდეგ „აფხაზეთის საერთაშორისო ფონდისათვის“ კრედიტის მიცემის საკითხი ისევ აღიძრა, მაგრამ **სხვა კონტექსტში.** კერძოდ, იმ ნივთების შეძენა, რისთვისაც განკუთვნილი იყო კრედიტი, მაინც შედგა, ოღონდ ფული (დოლარებში), რომლის გადახდაც აუცილებელი იყო შეთანხმების თანახმად დაუყოვნებლივ, გაღებული იქნა არა სახელმწიფოს მიერ, არამედ ერთ-ერთი კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირების მიერ, რის გამოც, რამდენადაც ვიცი, ის ნივთები კანონით გათვალისწინებულ შეიარაღებულ ძალებს კი არ დარჩათ, არამედ ზემოხსენებულ კანონით გაუთვალისწინებელ ფორმირებას (ცხადია, ისევ და ისევ ჩვენი ქვეყნის სამსახურისათვის). ახლა დადგა საკითხი: როგორ იქნას გასტუმრებული იმ შეიარაღებული ფორმირების ვალი ანუ ის თანხა, რომელიც მან ამ ნივთებში გადაიხადა? და სწორეთ ამ კონტექსტში — ზემოხსენებული ფორმირების ვალის გასტუმრებას კონტექსტში — დაისვა ხელმეორედ „აფხაზეთის საერთაშორისო ფონდისათვის“ კრედიტის მიცემის საკითხი. შედგა მთავრობის (კაბინეტის) დახურული სხდომა, რომელმაც მიიღო დახურული დადგენილება „აფხაზეთის ფონდისთვის“ 20 მილიარდი კუპონის სესხებაზე ერთი წლით სიმბოლური პროცენტით (1%). სხდომაზე წარმოდგენილი იყო თავდაცვის სამინისტრო და მას ესწრებოდა ერთი დეპუტატიც, რომელსაც იმ კარგი შეთანხმების ორგანიზაციის დამსახურება აქვს. „აფხაზეთის ფონდმა“ მიიღო კრედიტი, მაშინვე გადაახურდავა დოლარებზე მისი ნახევარი და ჩააბარა, ვისაც ჯერ არს, როგორც თავისი წვლილი სახელმწიფოს სამსახურის საქმეში.

ამ პუნქტში (3) აღწერილი სურათი ზუსტია თუ არაზუსტია, ამას ნებისმიერი პროცესუალური გამოძიება ადვილად დაადგენს. მანამდე მე კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებ, რადგან, ვიმეორებ, ეს ინფორმაცია უშუალოდ ჩემი არ გახლავთ. (თუმცა, აქვე დავძენ, მე ეს სურათი ზუსტი მგონია). რამდენადაც ვიცი, მინისტრთა კაბინეტის დახურულ დადგენილებაში არაა დამოწმებული ჩემი შუამდგომლობა, მაგრამ ასეა თუ არა მართლაც, ამას მნიშვნელობა არა აქვს არც იურიდიულად, არც მორალურად, კრედიტის მიმცემი ყველა შემთხვევაში ვალდებულია, თვითონ შეამოწმოს, ვის აძლევს კრედიტს, რა მისამართის პატრონს და რა გარანტიით. მე, შუამდგომელს რატომ არ შემატყობინეს ან არ დამეკითხნენ — მეთქი, ამას ვერ ვიტყვი, რადგან არ ვიცი, **როდის** განახლდა ეს თემა — ჩემთვის უარის თქმის შემდეგ — 18 სექტემბრამდე, როცა მე ჯერ თბილისში ვიყავი, თუ 18 სექტემბრის მერე, როცა მე უკვე სოხუმში ვიმყოფებოდი.

ახლა ნება მომეცით, ამ (3) პუნქტში აღწერილი ვითარების პატარა ანალიზი შემოგთავაზოთ, რათა მოგახსენოთ (ამჯერად სრული კატეგორიულობით), რომ საქმე გვაქვს **დანაშაულთან**, ხოლო საკითხი, როგორ ნაწილდება ეს დანაშაული იმათ შორის, ვინც მასში ურევია, ისევ მომავალ ძიებას დავუტოვო. როგორიც არ უნდა აღმოჩნდეს საქმის სრული სურათი, უდავოა, რომ „აფხაზეთის საერთაშორისო ფონდზე“ კრედიტის გაცემით მთავრობამ მიმართა ზემოხსენებული პროექტის არაპირდაპირი დაფინანსების გზას, თუმცა შეეძლო (შუამდგომელი დეპუტატისაგან განსხვავებით), ამავე პროექტის **პირდაპირი** დაფინანსება მოეხდინა. სახელდობრ, მას შეეძლო თვითონ გადაეხურდავებინა დოლარებზე თავისივე კუპონები (რაკიღა ამ კუპონის გაღება გადაწყვიტა) და თვითონვე გაესტუმრებინა ზემოხსენებული ნივთების შეძენის ხარჯები. მაშინ მისი ხარჯის მარგი ქმედების კოეფიციენტი იქნებოდა 100 % ან ცოტა ნაკლები, თუკი მესამე პირს (ამ შემთხვევაში — „აფხაზეთის საერთაშორისო ფონდს“) მიეცემოდა დაუწერელი წესით გათვალისწინებული 5-15%, როგორც კარგი გარიგების ორგანიზატორს (და არა ის თითქმის ნახევარი, რომელიც მას პრაქტიკულად არგუნეს), მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, „აფხაზეთის ფონდი“ **არ იყო** ამ გარიგების ორგანიზატორი, მაშასადამე, მას არავითარი საშუამავლო პროცენტიც არ ეკუთვნოდა. მაშ რაღად არჩიეს მავანთ და მავანთ ეს არაპირდაპირი დაფინანსების გზა? ამისათვის რამდენიმე ახსნა არსებობს (ერთმანეთთან შეთავსებადი) და ყველა — არასაპატიო (რბილად რომ ვთქვათ). სახელდობრ:

ა) კრედიტების გამცემთ სურდათ კრედიტების გაცემის მავნე პრაქტიკის გაკეთილშობილება ქვეყნის დაცვისათვის საჭირო კრედიტის გაღების გზით. ეს პუნქტი კომენტარს მოითხოვს. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს ეკონომიკური დაუძლურება, ძირითადად, სამი გზით მოხდა და ამ სამში ორი ეროვნულ ბანკზე გადის, რომელსაც სათავეში ბ-ნ დ.დვალიშვილი ედგა. ერთია კრედიტების უსაშველო რაოდენობით გაცემა (და გაცემული თანხის დიდი ნაწილის დაკარგვა), მეორეა „ჰაერიდან“ თანხების გადარიცხვა რუსეთში (ეს თანხები რუსეთშივე დარჩათ კერძო პირებს, რუსეთმა კი ეს ვალად დაგვადო და ჩვენმა მთავრობამ ეს ვალები აღიარა, მესამეა სახელმწიფოს გაჭურდვა. თუ იმ გაჩუქებულ (ან სხვა რამ მოტივით განიავებულ) კრედი-

გაგრძელება მე-2 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია წერილი

«ლიტერატურული საქართველოს» რედაქტორს

(პირველი გვერდიდან)

ტებში სამშობლოს დაცვისათვის განკუთვნილი კრედიტებიც ურევია, ეს, ცხადია, დიდი ფსიქოლოგიური „რეაბილიტაციაა“ მათი გამცემისთვის.

ბ) კრედიტის გამცემთ უნდოდათ ნ.ნათაძისათვის მომავალში ჩრდილის მიყენება. (ეს მოტივი ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგენილებაში დამოწმებულია ჩემი შუამდგომლობა). ეს ახსნაც კომენტარს მოითხოვს.

ჯერ ერთი საქმე ის გახლავთ, რომ კრედიტების განიავების შესახებ პარლამენტში იყო ლაპარაკი ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქმე კატასტროფამდე არ იყო მისული და ამ პროცესის შეჩერება შეიძლებოდა. ეს თემა პირველმა მე აღვძარი. მაგრამ სახელმწიფოს მეთაურმა ბანკის პრეზიდენტი მაშინ ადგილზე დატოვა და პოლიტიკაც გაგრძელდა.

მეორეც: ჩვენი „დავალიანება“ რუსეთთან (როგორც მითხრეს, ასი მილიარდი მანეთი) დღეს ერთ-ერთი ყულფია, რომლითაც რუსეთი გვშიძულებს სამხედრო ბაზები მივცეთ. მე გახლავართ პარლამენტის ის წევრი, რომელმაც პირველად გამოვთქვი ეჭვი, ჩვენი ეკონომიკის ნგრევა ხელოვნურად ხომ არ ხდება-მეთქი, რათა გვაიძულონ, რუსეთის პოლიტიკის ორბიტში მოვექცეთ. როგორც ვხედავთ, ჩემს დისკრედიტაციას პატიოსნების მხრივ თავისი პრაქტიკული მიზანი ჰქონია სწორედ ფინანსურ სფეროში. დამავიწყდა მეთქვა. მე ის დეპუტატი გახლავართ ამავე დროს, რომელმაც სახელმწიფოს მეთაურს სთხოვა მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებისას: ბარემ ისიც გვითხარით, თქვენს მიერ წარმოდგენილი რომელი კანდიდატის პატიოსნების გარანტიას იძლევით და თუ რომელიმე მათგანი სამართალში ნამყოფია, რა მუხლით და რა შედეგით ნამყოფია — მეთქი.

გ) არ არის გამორიცხული, რომ კრედიტის გამცემთაგანს, რბილად რომ ვთქვათ, ზედმეტი სიმპათია ჰქონდა რომელიმე იმათაგანის მიმართ, ვისაც ამ ოპერაციაში, შესაძლოა, შემოსავალი უნდა მიეღო.

ამ ვარიანტებს შორის არჩევანი მხოლოდ პროკურატურის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების საქმეა. ამიტომაც ბუნებრივია, ჩემს საბოლოო კატეგორიულ პასუხს თქვენი გაზეთის კითხვებზე წინ უნდა უძღოდეს ამ ორგანოთა ჩართვა საქმეში. ცხადია, რომ პროკურატურის ინტერესი ამ საქმისადმი, წესით, უნდა გაგრძელდეს იმის შემდეგაც, რაც ამ ვარიანტის არჩევა მოხდება.

არაა ინტერესს მოკლებული კითხვებიც, თუ როგორ მოხვდა ამ თემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია გაზეთში და ვინ მისცა გაზეთს „ზურგი“, რათა უგულებელეყო ინფორმაციის გარკვეულ სახეთა არგაცემის საჭიროება თავის პუბლიკაციაში. მეორე თემა გახლავთ ბ-ნ აბგაროვის თემა, (იხ. „ლიტერატურული საქართველო“). ბ-ნ აბგაროვი თბილისელია. გაგახარებთ: მილიციაშიც ნამუშევარია, დიდი ქარხნის დაცვაშიც. მე იგი სწორედ იმ ქარხნის ყოფილმა დირექტორმა, ბ-ნმა ნ.ჯაიანმა მაცნო. მას მრავალგვარი კავშირები აქვს ოსეთში და, შესაბამისად, მრავალგვარი საშუალებები აქვს იმ არაოფიციალური ბლოკადის გარღვევისა, რომელშიც დიდი ხანია გვამყოფებს მეზობელი და „მეგობარი“ რუსეთი, განსაკუთრებით, — წარმოების გარკვეულ დარგებში. მას შეუძლია ჩვენი საწარმოებისთვის პარტნიორთა ძებნა. მისი მოღვაწეობა რომ ნაყოფიერი იყოს, მას სჭირდება რწმუნება და სწორედ ამ რწმუნებას ვაძლევ მე. მე არ ვუბიძგებ მას კანონის დარღვევისაკენ მეზობელ ქვეყანაში (ასეთი წაბიძგება იქნებოდა ჩემი გაცემული რწმუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, რუსეთის მიერ ჩვენი ბლოკადა რომ სახელმწიფოს ოფიციალური პოლიტიკის სტატუსით იყოს). შევნიშნავთ აქვე: ბ-ნ აბგაროვს ჩვენგან არც მივლინების ფული, არც სხვა მატერიალური სიკეთე არ მიუღია.

ამგვარად, ჩემი მხრიდან ამ ეპიზოდში ყველაფერი რიგზეა. მაგრამ იგი არ არის რიგზე სხვა მხრივ, კერძოდ, საკვლევია ამ ქაღალდის მოძრაობის ტრაექტორია, რომელიც ჩვენი ქვეყნის უმაღლეს წერტილსაც მოიცავს (ცხადია, არ მაქვს მხედველობაში შხარის მწვერვალი, სპეტაკი და კაშკაშა, რომლის სიმაღლე თუ არ ვცდები, 5202 მეტრია). რატომ წაართვეს ბ-ნ აბგაროვს ჩემი რწმუნების ქაღალდი ყაზბეგის საბაჟოზე? (როდის იყო, რომ საბაჟოს გამვლელთა ჯიბეში მყოფი ქაღალდები აინტერესებდათ?) ვინ წამოიღო ეს ქაღალდი იმ უმაღლეს წერტილში და რატომ? როგორ მოხვდა ეს ქაღალდი იმ უმაღლესი წერტილიდან გაზეთში, მე ეს ვიცი დაახლოებით, მაგრამ, დაე, ცალსახად დასკვნა ძიებამ წარმოადგინოს!) და ბოლოს: ვის აქვს უფლება, თავისი პოლიტიკური ოპონენტის „დისკრედიტაციის“ მიზნით (უფრო ზუსტად — ანალიზის უნარს მოკლებული მკითხველის თვალში მისთვის ჩრდილის მიყენების მიზნით) სახელმწიფოს კუთვნილი ინფორმაცია გასცეს? ინფორმაცია, რომელიც წელან ვახსენე, მიკრო-მიკრო-მიკრო ინფორმაციაა და, შესაბამისად, დანაშაულიც, რომელიც მის გამჟღავნებაში მდგომარეობს, მიკრო-მიკრო-მიკრო დანაშაულია. მაგრამ მიკროდანაშაულიც ხომ დანაშაულთა რიცხვში შედის!

რაც შეეხება მეორე დოკუმენტს, სადაც მე ვთხოვ საქართველოს ავტოინსპექციას ბატონ აბგაროვის გატარებას ჩვენს გზებზე, მე ძლიერ მეეჭვება მისი სინამდვილე. არავითარ დარღვევას იგი არ შეიცავს, მაგრამ, ჯერ ერთი, მე ამგვარი დოკუმენტის გაცემა არ მახსოვს. მეორეც: რატომ დავწერდი მე საქართველოს ინსპექციისადმი თხოვნას რუსულ ენაზე? კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებ. მაგრამ მადლობელი ვიქნები, თუ ამ ქაღალდის ექსპერტიზა ჩატარდება და გაირკვევა, საიდანაა იგი მოსული გაზეთის რედაქციაში.

მესამე თემაა ჩემი შუამდგომლობები თავდაცვის ფონდთან. თქვენი გაზეთი ორ ასეთ შუამდგომლობას აქვეყნებს. ორივეში ვწერ „ჩემი პირადი პასუხისმგებლობით ამა და ამ კაცს ამა და ამ საქმისთვის ესა და ეს თანხა მიეცით-მეთქი“. დიახ, ვწერ და სწორადაც ვიქცევი. რა აზრი აქვს გაზეთში ისეთი დოკუმენტის გამოქვეყნებას, რომელშიც ჩანს, ვინ შუამდგომლობს ამ და ამ თანხის გადაცემაზე (ეს მე ვარ), მაგრამ არ ჩანს, **ვის** უნდა მიეცეს ეს თანხა და **რისთვის**? ორივე შუამდგომლობების ეს ადგილები რედაქციამ შავით წაშალა). მკითხველმა იცოდეს: ის, ვიზედაც უნდა გაიცეს თანხები, ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული ქართველია, წოდებით — პოლკოვნიკი; ის, ვისი კონსულტაციითაც მომხდარია შეძენა, უაღრესად კომპეტენტური უმაღლესი ოფიცერია; ის, თუ რა უნდა იქნას შეძენილი (და შეძენილია), მაპატიეთ, ბატონო რედაქტორო, თქვენი საქმე არ არის. მეტი განმარტება საჭიროდ არ მიმაჩნია. დავძენ მხოლოდ: ჩემს ამგვარ წერილებს თავდაცვის ფონდზე ფონდის თავმჯდომარის ჭ.ამირეჯიბის დადებითი რეზოლუციით თქვენი გაზეთის რედაქცია, სამწუხაროდ, ბევრს ვერ ნახავს. ეს, სამწუხაროდ, ერთეული ფაქტებია. მეტი რომ ყოფილიყო, ჩვენი საქმე, ალბათ, ცოტა უკეთესად იქნებოდა.

განმარტებისათვის, „თავდაცვის ფონდში“, რომლის თავმჯდომარეცაა ჭ.ამირეჯიბი, მეც ვიყავი თავიდან როგორც თავმჯდომარის მოადგილე. მივდიოდი ხანდახან სხდომებზე. პრაქტიკულად საქმესთან ხელი არ მქონდა. არ დავმალავ, ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ერთი ახალგაზრდა ქალბატონის კომპეტენტურობა გარკვეული პროდუქციის ტექნიკური მაჩვენებლებისა და ფასების სფეროში. მიუხედავად ამისა, მაინც წამოვედი იმ ფონდიდან, რაკი შევატყვე, რომ ფონდის საქმიანობის დიდი ნაწილი ეჭირა ისეთ მოღვაწეობას, რომელშიც მე სრულებით არაკომპეტენტური ვარ — არსებული თანხის ბრუნვას მისი გაზრდისა და მომავალ საქმიანობაში გამოყენების მიზნით.

ასეთი გახლავთ საქმის სურათი. როგორც მოგახსენეთ, სრულ პასუხს მას შემდეგ გაახლებთ რედაქციაში, რაც დამთავრდება სამართალდამცავთა მუშაობა. არ დაგიმალავთ: პირადად თქვენ ცილისწამებისათვის პასუხს მოგთხოვთ სასამართლოს წესით. ალბათ, იმედი გაქვთ, ჩვენს ქვეყანაში წითლები მეფობენ და ასე ადვილად არ გამიმეტებენო. შესაძლოა, მართალიც ბრძანდებოდეთ, მაშინ გამოვაქვეყნებ თქვენს დამცველ სამართალდამცავთა პასუხს, რომელიც იურიდიულად, ალბათ, სასაცილო იქნება. (ამის გამოცდილება სამწუხაროდ მაქვს) და უკეთეს დროს მოვუცდი. წინააღმდეგ თქვენი ვარაუდის, თქვენი ციხეში ჩასმა სულაც არ მწადია. იქ უფრო საპატიო საზოგადოებაში იქნებოდით, ვიდრე ისაა, რომელშიც დღეს იმყოფებით, როგორც პიროვნების წინააღმდეგ მომართული ცილისწამების თანაშემოქმედი.

როგორც ცილისმწამებელი, ღირსი არ ბრძანდებით, მაგრამ მაინც მოგახსენებთ ერთი-ორ შეგონებას და ერთი-ორ მოსაზრებას, რომელიც შესაძლოა გამოგადგეთ — თქვენს ჟურნალისტურ მომავალში.

პირველი: სიცილი, ხითხითი, კისკისი, კრეჭა, ღრეჭა, ღმეჭა, ხორხოცი, როხროხი და ხარხარი არა მწერლობა, უფრო მეტიც: ეს არც ჟურნალისტიკაა და არც პუბლიცისტიკა, ამ ჯანმრთელობისათვის დიდად სასარგებლო ფიზიოლოგიურ რეაქციებს სხვადასხვა წყარო აქვს: ზოგისთვის — ეს წყარო თითის ჩვენებაა, ზოგისთვის — საყაროს წყობაში ჩადებული ირონიის სევდიანი ხედვა. ამ უკიდურესობებს შორის შესაძლებლობათა ფართო დიაპაზონი ძევს. ზოგჯერ გაცინებას ღრმა გონება და გული სჭირდება, ზოგჯერ — მხოლოდ ფილტვები. იმ სიძვირეში, დღეს რომ გვაქვს, არ ღირს ქაღალდის გაფუჭება მხოლოდ იმისათვის, რომ მოყვასს ფილტვები მოფხანო!

მეორე: მართალია, საქონელს ნამუსი არა აქვს, მაგრამ ნამუსი მაინც კარგი საქონელია. შეკვეთის მიმღები ვალდებულია შემკვეთის წინაშე. მაგრამ როგორი ბინძურიც არ უნდა ხყოს შეკვეთა, შემსრულებელი ვერ გადააბრალებს თავის პასუხისმგებლობას შემკვეთს (და, ცხადია, ვერც შემკვეთი — შეკვეთის შემსრულებელს. როდესაც სხვისი ბ[illegible]ნებით კამოს ტრადიციას მისდევთ, [illegible] შემკვეთის ტუჩ-კბილი კი არ ზარა[illegible]ება, არამედ თქვენი ტუჩ-კბილიც [illegible]ლწება ბოროტი სიტყვების წარმო[illegible]ით.

მესამე: ერთ სულელს ისეთი [illegible]ვების დასმა შეუძლია, რომელსაც [illegible]კვიანი ვერ უპასუხებს. როყიო ბრ[illegible]ების წამოყრანტალება სიძნელეს უქ[illegible]პონენტს და ეს სიძნელე მით უფრ[illegible]დია, რაც უფრო სულელურია ბრა[illegible]მა-გრამ, ღვთის მადლით, მკითხველს მსჯელობის საკუთარი უნარი აქვს (თუ რათქმა უნდა ოდნავ მაინც გონება შესწევს). გაგიკვირდებათ, მაგრამ გონიერი ადამიანებიც ჯერ კიდევ არსებობენ, ამიტომ მაინცდამაინც არ ღირს რომელიმე გაზეთმა თავისი მუშაობის მეთოდი მხოლოდ უგუნურებზე გაანგარიშებით ააგოს!

ეს სამი შეგონება პირადად თქვენი მოხმარებისათვის გახლავთ, თუმცა შეგიძლიათ თქვენს კოლეგებსაც გაუზიაროთ. ახლა მოგართმევთ კიდევ ერთს, რომელიც თქვენთვისაცაა განკუთვნილი და პატივცემული მკითხველისთვისაც. (ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში მაყურებლის როლში გამოდის). არის ისეთი მატჩები, რომელშიც **არასგზით** არ უნდა ჩაებათ, რადგან ყველა შემთხვევაში წაგებული ხართ. გაზეთ „საქართველოში“ ამას წინათ ნახსენები იყო ნეპის წინადროინდელ რუსეთში გავრცელებული „რეკეტის“ ასეთი ფორმა: მკბენარებით დახუნძლული „პაცანა“ მიდის სუფთად ჩაცმულ მოქალაქესთან და ეუბნება: „ძია (ან დეიდა), სამი მანეთი მომეცი თორემ გაგეხახუნებიო“. რა ქნას იმ ძიამ? კრივი გაუმართოს? ალბათ, არა! ახლა წარმოიდგინეთ, რომ ქუჩაში ისტერიკიანი დედაკაცი გამომდგარა, იგინება, იპურჭყება, იწყევლება და, თუ ახლო-მახლო გაიარეთ, თავის მჭევრმეტყველების ნაკადში თქვენს სახელსაც ჩართავს. დისკუსია უნდა გაუბათ? ამ კითხვის დადებითი პასუხიც ძნელია. დავუბრუნდეთ ჩვენს რეალობას. მერწმუნეთ, მე თქვენთან მატჩი არ მინდა. მაგრამ არა იმიტომ, რომ თქვენი ნაწერის გაბათილება მიჭირს. ის სტილი, რომლითაც ეს მატჩი იწარმოებს, მე არ მიყვარს, სხვა სტილს კი თქვენ არ ფლობთ!

ახლა ნება მომეცით, ერთი ჭუჭუმათი-შეგონებაც მოგართვათ, რომელსაც თქვენ პირადათ ვერ მოიხმართ და ვერც ადრესატს მიაწვდით, თუ პირდაპირ ზემოთ, ანუ ვერტიკალურად არ აიხედეთ, რაც, ალბათ, გაგიჭირდებათ, რადგან, თქვენი ნაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სულიერთა იმ კატეგორიას ეკუთვნით, რომელსაც ზემოთ ახედვა არ შეუძლია მანამდე — მაპატიეთ — ერთ ანეკდოტს მოგახსენებთ: „სეროჟ, მეფე რომ იყო, რას იზამდიო? სეროჟა დაფიქრდება. „ჰამაც მეფე ვიქნებოდი, ჰამაც „ლევად“ ტ[illegible]ლებს შევკერავდიო“. მეფე სამართლიანი ხამს. (სიბრძნეზე, სიმდიდრეზე, სიუხვეზე, მორჭმულობაზე და განგებიანობაზე რომ აღარ ვილაპარაკო). არ შეიძლება ჰამაც სახელმწიფო მართოთ, ჰამაც ინტრიგები აწყოთ. სეროჟასაგან მეფე იმით უნდა განსხვავდებოდეს, რომ მეფობის გარდა სხვა „ლევი“ საქმე არ უნდა აწუხებდეს, მაგალითად, არ უნდა იყენებდეს თავის მდგომარეობას იმათი პიროვნული დისკრედიტაციის ორგანიზაციისათვის, ვინც გულზე არ ეხატება ან თავის პოლიტიკურ ოპონენტად მიაჩნია.

სხვაფრივ კარგად ბრძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ თქვენი უხეირო გაზეთის უხეირო იძულებით თანამშრომელსა.

P.S. პროკურატურის თანამშრომელმა მიჩვენა მინისტრთა კაბინეტის ის საიდუმლო დადგენილება. ჩემი შუამდგომლობა იქ ნახსენები არაა. სიტყვა „ნივთების“ ნაცვლად იქ წერია იმ ნივთების სახელი, რომელთა შეძენაც უნდა მოხდეს. ამგვარად, მთავრობას ჩემი შუამდგომლობის მიხედვით კი არ უმოქმედია, არამედ სხვა ინფორმაციის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ გრიგალაშვილი

ყველამ თავის მოადგილეს მოუაროს!..

„ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან ბატონმა თამაზ წივწივაძემ მომმართა ღია წერილით — „ბატონო ნოდარ, მათხოვეთ ხერგო ჯანაშია“.

ამ ორიგინალური სათაურის წაკითხვისას, თავდაპირველად გულიანად გამეცინა და რაკი თხოვება და მითხოვება დღემდე მდედრობით სქესს გულისხმობდა, მთხოვნელისათვის მინდოდა ხუმრობითვე მიმეწერა—

სერგოზე უკეთესი არ მოგცეს ღმერთმა-მეთქი.

მაგრამ ბატონი თამაზი მაინცდამაინც სერგო ჯანაშიას თავს მთხოვს.

მთხოვს უპირობოდ...

ღურმიშხან წამალაძე მწეარში მაინც გაცვალეს.

ამხელა გაზეთის რედაქტორის მოადგილეს კი უპირობოდ მართმევს, რადგან —

ბატონ თამაზს ერთობ დამაფიქრებელი იდეა გახჩენია.

„ლიტერატურულ საქართველოში“ თუ ისეთი მკრეხელობა, გინა თუ ხიბინძურე გამოქვეყნდება, თავად რომ არ იკადრებს რედაქტორი ხელის მოწერას, მშველელად ჩემს მოადგილეს მიუხმობს და მას დაავალებს ამ აქტის შესრულებას...

მის თავს სწორედ ამ მიზნით მეაჯება...

მაგრამ რაღა ბატონ სერგოს დაადგა თვალი?

აი, რატომ —

სერგო ჯანაშია, ჩემი უფროსი კოლეგის აზრით, ის კაცია, საქართველოს კაპიტულაციაზე თუ გახდა საჭირო ხელმოწერა, სიამოვნებით რომ იზამს ამ უგვან საქმეს.

საქართველოს კაპიტულაციაზე ხელმომწერი კაცი კი ყველაფერზე ხელს მოაწერს.

რასაკვირველია, თავად იდეა აღმაფრთოვანებელიც კია.

ამ ბოლო წლებში მე და ბატონმა თამაზ წივწივაძემ იმდენი ჭირი და ლხინი გამოვიარეთ ერთად, რომ —

თუ მას მხოლოდ კარგი ნომრების ხელმოწერად ვიხილავ, ყველაზე მეტად მე გამეხარდება.

ისევე როგორც დღემდე მას უხაროდა, თუ რამ სახეიროს მოვიმოქმედებდი.

აქედან გამომდინარე, თამაზ ბატონო, (დროა პირდაპირ მოგმართოთ) თხოვნას აგისრულებდით, რომ არა ერთი გარემოება.

თქვენ რომ მოგიფიქრებიათ, არ გამოდგება იმ საქმეში ჩემი მოადგილე... მთელი ამერ-იმერი რომ მოიაროთ, საქართველოს კაპიტულაციაზე უფრო სანდო ხელმომწერს, თქვენი მოადგილე რომ არის, ვერ იპოვით.

რაღა შორს მიდიხართ, დალოცვილო, მანდერ არ გყავთ სამრედაქტორგამონაცვალი ჯუმბერ თითმერია?

ამ საქმეში ნაცადია და გამოცდილი...

იყო თუ არა „ესენგე“-ში შესვლა საქართველოსთვის კაპიტულაცია?

მოსახლეობის დიდი ნაწილი სწორედ ასე ფიქრობს.

ის კი არა, თვით სახელმწიფოს მეთაურიც ამასვე ამბობდა აღრე.

1993 წლის 28 სექტემბერს ქართველი და უცხოელი ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას, აღწერდა რა წინა დღეების საშინელ პერიპეტიებს, მან განაცხადა, **საქართველო დააჩოქეს**, დაჩოქილი შედიოდა ესენგე-შიო.

არადა, გაიხსენეთ, რას ფიქრობდა ამ საკითხზე თქვენი მოადგილე.

როცა მწერალთა კავშირში ჩვენი ქვეყნის „ესენგე“-ში შესვლის საკითხი იხილებოდა, ბატონმა თითმერიამ განაცხადა — **ეს დღე ჩემთვის ზეიმიაო.**

თუ ოითმერია გადათქვამს, სხვა კანდიდატი შემიძლია დაგისახელოთ, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში **საკუთარი თავის კაპიტულაციაზე, ანუ ყველაფერზე** რომ მოაწერს ხელს.

ასე რომ, ბატონო თამაზ, იმუშავეთ ადგილზე ადგილობრივ რეზერვებთან...

P.S. “რა შუაში ვარ მე?“

აღშფოთდება ჩემი ეპისტოლეს წაკითხვისას თქვენი მოადგილე...

„რა შუაში ვარ მე?“

უკვე ორი კვირაა ხელებს შლის თქვენი ეპისტოლეთი შეწუხებული ჩემი მოადგილეც.

იცის ღმერთმა, არც ერთი იყო შუაში და არც მეორე.

პირადი ურთიერთობების გაღარჩენას მსხვერპლი სდომებია, თორემ, მართლაცდა, რა შუაში იყო ჩვენი სერგო და ჯუმბერი?...

ისტორია

მოგვსპეს, გაგვანადგურეს?!

ქართველი ერი, მუსლიმანური ქვეყნების სისტემატური შემოსევების ჟამს, — მე-14 საუკუნის ბოლოს, — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, სარწმუნოებისა და ეროვნული გადარჩენის მიზნით, მეგობრობის ტრაქტატით შეუერთდა ერთმორწმუნე რუსეთს...

„მფარველმა“ რუსეთმა 8 წლის შემდეგ ფაქტიურად მოსპო ქართული სამეფო და მოახდინა ანექსია (საქართველოს დაპყრობა), ხოლო 1810 წელს გაუქმა ქართული უძველესი ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია...).

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში (საბჭოთა პერიოდში), ერთმორწმუნე ქვეყანამ მოგვისპო ქრისტიანობა...

დიახ, ის რაც საუკუნეების მანძილზე ვერ შესძლეს აღმოსავლეთის მუსლიმანმა დამპყრობლებმა, ეს გააკეთეს ჩვენმა ერთმორწმუნე ჩრდილოეთის „უფროსმა ძმებმა“. მათ, არა მარტო მოგვისპეს სარწმუნოება, არამედ მიწასთან გაასწორეს და არარაობად აქციეს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, — ეკლესია-მონასტრები და მათში დაცული საგანძური (ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი, ძვირფასი ჯვრები და ხატები, სარიტუალო მოწყობილობანი და ჭურჭელი, სიგელ-გუჯარნი და არქივები); მიაღწიეს იმასაც,რომ პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა პირჯვრის გადაწერა, კვერცხის შეღებვა...

ყოველივე ამას, ისინი აკეთებდნენ დაუფარავად, დღისით-მზისით, უმეტესწილად, ქართველთავე ხელით. ამ ვანდალიზმის შესახებ არსებობს უამრავი საარქივო დოკუმენტები და ბეჭდური პროდუქცია ჟურნალ-გაზეთებში.

— „მოვსპოთ საეკლესიო დღესასწაულები“, ე.წ. „აღდგომა“; „ხატის ბრალია“; „მარიამობის მსხვერპლი“; „ანტირელიგიური კომპანია სკოლებში“; „დეპეშები რელიგიური დღესასწაულების გაუქმებაზე“; „ულმერთოთა წრეები“; „ძირს ანაფორა“; „ძირს სამღვდელოება და მისი პატრიარქი“ (დაამატიმრეს კიდეც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი წულაია და მის ირგვლივ მყოფი ეკლესიის წინამძღვარნი); „საქართველოს ურწმუნოთა კავშირი“. „ძირს სარწმუნოება“... (ასეთი სათაურით იბეჭდებოდა წერილები ოციანი წლების ჟურნალ-გაზეთებში).

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ „თბილისის ქართველ სამღვდელოების საინიციატივო ჯგუფის კომისიის“ 1923 წლის 3 სექტემბრის თხოვნას, — „საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოქალაქე ელიავასადმი“.

„თხოვნას“ ხელს აწერენ: დეკანოზები: დ.ხახუტაშვილი, ნიკიტა თალაქვაძე, ი.ჩიჯავაძე და სოსიკო მერკვილაძე (დოკუმენტი ხელნაწერია და იბეჭდება უცვლელად).

ვახტანგ გურგენიძე
1994 წლის 21 აპრილი

— **საქართველოს** ეკლესია ჩვენი ერის უხუცესი, ძველის-ძველი, დიდად ჭირნახული და ნაამაგდარი ინსტიტუტია, რომელსაც მოუღწევია მეოთხე საუკუნიდან დღემდე მედგარი ბრძოლით, დაუცხრომელი ღვაწლით და რუდუნებით. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა ამა წლის სამ მაისს მოგვეხსენებინა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარისათვის ტფილისის ქართველ სამღვდელოების საინიციატივო ჯგუფის კომისიის სახელით წარდგენილ დეკლარაციაში თუ რა განსაკუთრებული გზით მიმდინარეობდა ეკლესიურ-სარწმუნოებრივი ცხოვრება საქართველოში; თუ როგორ ერთ უღელში იყო შებმული ქართველი სამღვდელოება შრომელ გლეხობასთან; თუ როგორ დრო და ჟამის მსვლელობასთან პროგრესულად აზროვნებდა და მოქმედებდა ჩვენი სამღვდელოება; თუ როგორ ჩვენი სამღვდელოებაც ცხარე მონაწილეობას ღებულობდა ქართველი ერის განმათავისუფლებელ მოძრაობაში მუდამ ძველად და უკანასკნელ დროებშიაც.

ეს უკვე ისტორიულად ცნობილი და დასაბუთებულია! ასე რომ ჩვენს სამღვდელოებას და ეკლესიას მტერიც კი ვერ უსაყვედურებს ერის ორგულობას და მასზე გაბატონების სურვილს.

ჩვენ აღვნიშნეთ ისიც, რომ ქართველი სამღვდელოება ვიდექით და ვსდგევართ ეხლანდელ რევოლუციონურ ჟამსაც ყოველგვარ პარტიულ და პოლიტიკურ მიმდინარეობის გარეშე, — ვსდგევართ სახარების მცნებაზე — არ ვებრძვით არსებულ პოლიტიკურ წეს-წყობილებას, პირიქით, ყოველგვარ სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებაში მოწოდებულნი ვართ და დავალებულნი ჩვენ ვანუგეშოთ მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, ვარკვიოთ მორწმუნეთა ცხოვრებაში ქრისტიანული მაღალი ზნეობა, რომელიც ხელს უწყობს ადამიანთა შორის სოციალურ სამართლიანობის და თანასწორობის დამყარებას.

ჩვენს ეკლესიას და მის სამღვდელოებას საკმარისად მდიდარი კულტურული და ნივთიერი მემკვიდრეობა ჰქონდა გადმოცემული წარსულ საუკუნეებიდან! ნივთიერი მემკვიდრეობა ჩვენი ეკლესიისა, მორწმუნეთაგან შემოწირული, თუ მის მიერ შეძენილი ადგილ-მამულნი, თუ შენობანი და დიდ-ძალი ეკლესიური განძეულობა, ჩამოგვერთვა და გაიფლანგა უმეტესი წილი თვითმპყრობელობის ჟამს, დანარჩენი მენშევიკების დროს, ხოლო რაც მათ გადარჩათ, ეს ჩამოგვართვა საბჭოთა ხელისუფლებამ. მაგალითად, ამას წინეთ ჩამოგვერთვა საკათალიკოზო საბჭოს და მისს დაწესებულებათა შენობა; აქედან ეს დაწესებულებანი, ხელისუფლებისავე ნებართვით, გადატანილ იქმნა კათალიკოზის სასახლეში; ეხლახან ჩამოგვერთვა ეს უკანასკნელი შენობაც და მასში დარჩენილი დიდ-ძალი ავეჯეულობა; ხოლო კათალიკოზი გადაყვანილ იქმნა სიონის ტაძრის ეზოში.

შეიძლება კათალიკოზი პირადად მოეწყოს ახალ ბინაზე, მაგრამ სიონის ეზოში ჩვენ დაწესებულებათათვის სრულებით აღარარის ადგილი. ჩვენ აუცილებლად ვსაჭიროებთ ცენტრალურ და საეპარქიო დაწესებულებათათვის ბინას, — სააბისოთ კი აღარც ერთი შენობა აღარ შეგვრჩა!

ასეთი შეიწროება არ განუცდია ტფილისში სხვა სარწმუნოებათა თუ აღმსარებელთა ეკლესიებს, — არ განუცდიათ ასეთი შეიწროება ფედერაციის არც ერთს რესპუბლიკის ეკლესიას, არც რუსეთში, არც ადრბეიჯანში და არც ჩვენ მეზობელ სომხეთში!

საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლება კი, როგორც ის პრესასაში გამოცხადებულ უკანასკნელ დეკრეტებით აღნიშნავს, არ იზიარებს პროვინციებში თუ ქალაქებში მომხდარ გადამეტებულ მოქმედებებს სამრევლო ტაძრებისა და მათ სამღვდელოებისადმი მიყენებულთ. ხსენებულ დეკრეტის მიხედვით მთავრობა ხრუნავს მორწმუნეთა სინიდისის დამშვიდებას და ეკლესიურ-სარწმუნოებრივ ცხოვრების მყუდრო კალაპოტში მოქცევას.

მთავრობის ასეთ განზრახვებს კმაყოფილებით ვეგებებით, მაგრამ ასეთ განზრახვათა ცხოვრებაში გასატარებლად აუცილებელია თვით სამღვდელოებამაც მიიღოს ჯეროვანი მონაწილეობა. ხოლო ამისათვის საჭიროა მოგვეცეს საშვალება, რათა აღდგენილ იქმნას ჩვენი ცენტრალური და საეპარქიო დაწესებულებანი, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში; ესენი გაუძღვებიან ეკლესიურ-სარწმუნოებრივ ცხოვრების მოწესრიგებას ჩვენში.

ამ დაწესებულებათათვის კი საჭიროა დაგვიბრუნდეს ეხლახან ჩამორთმეული სასახლე მაინც. ამ სასახლეში არის მშვენივრად გამართული ტაძარი, რომელიც კონფესიონალურ სამოძღვრო სკოლად (მოზრდილთათვის) გვქონდა მიჩნეული. ამ ტაძრის მოშლა-ალაგება იქნება აუნაზღაურებელი ზარალი ჩვენთვის.

უკანასკნელი ცნობებით (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 188/353/ დეპეშა მოსკოვიდან 15 აგვისტოსი). მოსკოვში აღდგენილ იქმნა სასულიერო აკადემია, ხოლო ეპარქიებში დაუარსებიათ სამოძღვრო სკოლები, ამასთანავე რუსეთში და სხვაგანაც ყველგან ხელ-უხლებელია ცენტრალურ და საეპარქიო დაწესებულებათა შენობანი, ტაძრები და ავეჯეულობა.

ამ მხრივ ჩვენც ვსაჭიროებთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისაგან სამართლიან ყურადღებას და პატრონობას.

დაბეჯითებით გთხოვთ ნუ უგულებელს ჰყოფთ ამ ჩვენს თხოვნას, დაგვიბრუნეთ ამ ჟამად ეს ერთი შენობა მაინც, რომ ქართველმა სამღვდელოებამაც შესძლოს დამუშავება თავის მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობისა, როგორიც არის საეკლესიო მწიგნობრობა, გალობა და ქრისტეანული მოძღვრება დროისა და მეცნიერების მსვლელობის მიხედვით. არსად არ შეწყვეტილა ასეთი კულტურულ-ეკლესიური მუშაობა, ჩვენში კი შეჩერდა და მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება ყოველივე ესე.

იმედი გვაქვს, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლება სახელმწიფოებრივი შორს მჭვრეტელობით და ობიექტური სამართლიანობით განიხილავს ამ ჩვენს თხოვნას და დააჩქარებს მისს სათანადოთ დაკმაყოფილებას.

პოლემიკა

დაგვიანებულზე დაგვიანებული პასუხი გაზეთ «საქართველოს» და მის რედაქტორს, ბატონ ნ. გრიგალაშვილს

შესავლის მაგიერ

ვაზეთ „საქართველოსა“ და მისი რედაქტორის მიმართ, ჩემს წერილში წამოყენებული პრეტენზიების მიუხედავად, მსურს, განვაცხადო, რომ ორივესადმი უდიდესი სიმპათიით ვარ გამსჭვალული, რადგან ვთვლი, რომ პატრიოტული სულისკვეთების გამოხატვის, დემოკრატიული პოზიციების პუნქტუალური დაცვისა და პუბლიცისტური აზროვნების დონის თვალსაზრისით ბატონ ნ.გრიგალაშვილს და მის ორგანოს ტოლი იშვიათად მოეძებნებათ.

და მაინც... ზოგჯერ მათაც ღალატობთ ჩვეული ჟურნალისტური გულისხმიერება, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ბოლშევიკებს და მათ კრიტიკას ეხება, მაგრამ ამაზე სჯობს ქვემოთ...

ოვანეს თუმანიანს უბრძანებია: პატივი ეცით ადამიანებს, მაგრამ მათ ჩემს საფლავს ნუ ასწავლით, თორემ ქვებს მომპარავენო.

ბოლშევიკებს რომ ისეთივე ძლიერი ფანტაზია ჰქონოდათ ბოროტების მასშტაბებისა და ურდისუნარიანობის განჭვრეტისა, როგორიც ბრძენ ოვანეს ჰქონია, ან ადამიანში მხოლოდ ავკაცის ჭვრეტის ისეთი მანიით ყოფილიყვნენ შეპყრობილნი, როგორადაც მათ რაცხვენ, ალბათ, საფლავებსაც წინდაწინ დაისაიდუმლოებდნენ, რათა იმ ქვეყანას მაინც მშვიდად მოესვენათ, მაგრამ თურმე რადაცაში ისინიც გულუბრყვილონი იყვნენ. როგორც ჩანს, ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, თუ სამარეშიც ბეჭდავებელი გაუჩნდებოდათ და იქაც საბათქაბუთქოდ გაუხდებოდათ საქმე.

რაო? რას მოგძახით? რაც დათესეს, ის მოიმკესო?

გეთანხმებით!!!

გასაგებია: „ძალადობა შობს ძალადობას, ბოროტება-ბოროტებას“, მაგრამ მორალური რეაბილიტირების ეს თეორია ხომ იმ „მოწამლული“ პირველწყაროდანაც მოეონავს, ძარქსისტული დიალექტიკა რომ ჰქვია, რომელსაც თქვენ ანათემას უცხადებთ? თუ მის მავნე მაგიას ეავს ვერც თქვენ აღწევთ, ძალიან გთხოვთ, ქრისტიანობას ნუღარ მოჰკვეთთ. დიახ. დიახ. როცა მტერთან ანგარიშსწორების სისასტიკით და ბოროტების ორიგინალური გამოვლენით ბოლშევიკებს არაფრით ჩამოუვარდებით, ღვთისმსაობას ნუღა ინერებთ! სხვა, რამდენად ძარაალი ბრძანდებით თქვენ მთელი კომუნისტური პარტიისა და მოძღვრების გლობალურ ნეგატივად გამოცხადების საქმეში. რასაც გაზეთი „საქართველო“ სწორუპოვარი შეძართებით ეწევა, ამ თემაზე ცალთი, თუ საშუალება მოგვეცა, შეიძლება სხვა დროისათვის გადავდოთ (ამ ეტაპზე მხოლოდ ის შემიძლია შეგახსენოთ, რომ ავადმზირალი ცალთვალა, სახარებასაც ისე გაადენს ბდღვირს, როგორც ლეო ტაქსილმა გაადინა).

ამგვარი თამამი განცხადების უფლებას მაძლევს ის, რომ გავიზარდე ბოლშევიკურ სამყაროში, სანათესაო არხებით თითქმის ყველა ჩინიან თუ უჩინო კომუნისტთან ვიყავი დაკავშირებული და ამიტომ ამ საზოგადოების ავ-კარგს მე ვერავინ გამაცნობს. სხვათა შორის, ჩვენ, ე.წ. ძველ რეჟ-თა შთამომავლები, ძალიან დიდხანს სულგრძელად ვდუმდით, რაც დღესაც გრძელდება და, ალბათ, მე პირველი ვარ, მისი რკინის სალტის გარღვევას რომ ვბედავ... ვბედავ, რადგან საქართველოში ყველა თავმოყვარე ადამიანი ცდილობს, დაიცვას როგორც ოჯახის, ისე გვარისა და სანათესაოს ღირსება.

ჩემი წერილის „გმირი“ მამაჩემის ალალი ბიძა, სილიბისტრო თოდრია გახლავთ, რომლის გვარიც უარყოფით კონტექსტში პირველად გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გახმიანდა ამ რამდენიმე წლის უკან მზია ბაქრაძის საკმაოდ ვრცელ ნარკვევში, რომლის სათაურიც, სამწუხაროდ, არ მახსოვს და რომელიც ძირითადად ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლას ეხებოდა. ამ წერილში ს.თოდრია შეფარულად უშიშროების სამსახურის („ჩეკას“ რომ უწოდებდნენ) მსტოვრად მოგვევლინა. ვამბობ „შეფარულად“, რადგან აქ სახელი არსად გაშიფრული არ იყო. ხსენებული გახლდათ ვინმე ს.თოდრია. ქალბატონი მ.ბაქრაძე მხოლოდ ახლობლების მონათხრობის საფუძველზე წარმოადგენდა ფაქტს?!

წერილის ავტორს მე გარკვეული მიზეზების გამო გავუჩუმდი. ისიც ვიფიქრე, ს.თოდრია იქნებ სახელდობრ სილიბისტროს სულაც არ გულისხმობს-მეთქი.

ერთი სიტყვით, გულწრფელად რომ ვაღიარო, ხმაურსაც მოვერიდე.

„ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ნარკვევის შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ გაზეთმა „საქართველომ“ გაშლილი ფრონტით გამოუცხადა ბრძოლა ს.თოდრიას ნეშტს მთაწმინდაზე, რაშიც ჩემთვის (პირველ რიგში!!!) შეძრწუნების დონეზე მიუღებელი მხოლოდ ის გახლდათ და გახლავთ, რომ ეს ხდებოდა ზნეობრივი ეტიკეტის აბსოლუტური იგნორირებით, წერილში „ბოლშევიზმს ცრემლების არ სჯერა“ ბატონი ნ.გრიგალაშვილი იხსენიებდა რა თოდრიას, იქვე, ფრჩხილებში მიუთითებდა: „ეს ის თოდრიაა, რომლის სახელიც მთაწმინდის ძვალთშესალაგს აბინძურებს“.

მცირე ხნის შემდეგ ამავე გაზეთში გამოქვეყნდა აქვე დასაქმებული ერთ-ერთი მუშაკის, რომელიღაცა მწერალ მიხო მოსულიშვილის, დაახლოებით, ამგვარი შინაარსის მუქარით სავსე პატარა სტატია თოდრიას ნათესავების „მისამართით: თუ სასწრაფოდ არ გადაასვენებთ თქვენს ცხედარს მთაწმინდიდან, მე თვითონ ავიღებ ხელში ბარს, წერაქვს და ასე შემდეგო, დანარჩენი, სამწუხაროდ, არ მახსოვს.

ს.თოდრიას ნათესავებიდან თბილისში, რამდენადაც მე ვიცი, მხოლოდ მისი ძმისშვილისშვილები, სამნი დანი თოდრიები, ვცხოვრობთ. აქედან ორნი — საშუალო და უმცროსი, ეროვნულ მოძრაობაში სულით და ხორცით ჩართულნი, მიტინგიდან მიტინგზე დაბრძანდებოდნენ და საქართველოს ჯავრი მეტად აწუხებდათ, ვიდრე ნახევარი საუკუნის წინათ გარდაცვლილი თავიანთი „მამის“ ბიძისა (ისიც კომუნისტის!!!), რაც შეეხება მე, დიდი ხანია, რაც ჯანმრთელობაშერყეული ვარ. ასეც რომ არ ყოფილიყო, ჩვენ რატომ უნდა გვეთავა ეს საქმე, როცა ბატონ ს-ს დარჩა ქალიშვილი, მოსკოვში მცხოვრები ნათელა თოდრია, რომელიც იმ ხანებში საფრანგეთში იყო წასული და რომელსაც ვიდრე ჯერ ხმა მივაწვდინე მოსკოვში ჩამოსვლისას ტელეფონის საშუალებით, უკვე შესაშური გულმოდგინებითა და ოპერატიულობით განეხორციელებინათ თავისი მუქარა.

ამგვარ ქმედებებსა და, საერთოდ, მთელ იმ ეინმოუღალავ შეჩვენებაში, ქართველთა ახალმა ლიდერებმა ბოლშევიკებს სამარის ფსკერამდეც რომ მიადევნეს და ძვლებიც ფქვილად უქციეს, ჩემთვის გამაოგნებელი იყო აგრეთვე ის გაუგონარი დაუდევრობა, როგორითაც ამას აკეთებდნენ. არავის გაუთვალისწინებია, რომ სარკაზმის მათეულ კოკისპირულს შეიძლებოდა მაშულისაგან გაერიყა ის ნახევარი ქართველობა, რომელიც ამ ბოლშევიკებს უკან იდგა, არც ის გაუთვალისწინებ ათ, რომ ჩვენს სამშობლოში ისე ძვირი არაფერი ღირს, როგორც არესტიები, არც იმაზე უფიქრიათ, რანაირი ჩასაფრება გვახასიათებს ჩვენ კაცის, თუნდაც სახელის მიმართ და როგორ მუდამ შემართული ვართ იმისათვის, რომ რაღაც ბეწვისმაგვარი მაინც დაელანდოთ ამ სახელზე, რომ შემდეგ ადამიანს თავმომწონეობა შევუგინოთ.

რა თქმა უნდა, გაზეთმა „საქართველომ“ არ იცის, რომ პოლიტიკური ოპონენტები თავისი ახლობელთაგან დღესაც მაყვედრიან: შენ გულს რაც გიკლავს, ძალიან კარგად ვიცით, იმიტომ ვერ იტან ზვიადს, ბიძა რომ ჩამოგიბრძანა მთაწმინდიდანო. ამ დროს, რა წვლილი მიუძღვის ამ საქმეში ბ-ნ ზვიადს, ჩემთვის უცნობია. მე კარგად დავინახე მხოლოდ ის, რომ ს.თოდრიას არსებულმა თუ არარსებულმა გვამმაც კი მთაწმინდაზე ძილი დაუფრთხო მხოლოდ სახალხო ფრონტის ორგანოს, „საქ-ს“, მე კი ყველა არჩევნებში ხმა ის ლიდერს, ბ-ნ ნ.ნათაძეს მივეცი, რომელსაც მუდამ პატივს ვცემდი და ვცემ, როგორც ერთ-ერთ გულმართალ პატრიოტს, შეუპოვარ, პრინციპულ პიროვნებას და ძლიერი გონებისა და ღრმა განათლების მქონე ინტელიგენტს. აღვნიშნავ რა ამ ფაქტს, კი არაფერს ვამადლი ბ-ნ ნოდარს, უბრალოდ ხახს ვუსვამ ჩემს მიუდგომელ ბუნებას: სხვათა შორის, მე ჩუმად ვიქნებოდი, ალბათ, როგორც ვიყავი აქამდე, გაზეთს ცოტა ზედმეტი რომ არ მოსვლოდა. უკვე მესამე წელი მიდის რაც, მ.მოსულიშვილის „უაღრესად ქრისტიანული, ღვთისმომადლების“ წყალობით, თოდრიას ძვლები ამოყრილია მთაწმინდიდან და აღარ აუწმინდნებს ამ ზეციურ მიწას, მაგრამ „საქართველოს“ ამა წლის 28 თებერვლის ნომერში ნ.გრიგალაშვილის განმეორებით დაბეჭდილ წერილში „ბოლშევიზმს ცრემლების არ სჯერა“, ფაქტი ძველი სახით არის წარმოჩენილი. აქ კვლავ გაისმის სატირული პათეტიურობით წამოსროლილი ფრაზა: „ეს ის თოდრიაა...“

ეს უკვე მეტისმეტია!!!

იძულებული ვხდები, დიდი ბოდიშის მოხდით, მაგრამ მაინც დიდაქტიკური ტონით ბ-ნ ნ-ს შევახსენო, რომ იქნებ ზოგ-ზოგსა სიტყვასა ქარქაშში უჯობს ჩაქოლვა, მით უფრო საგარეოდ, ოფიციალურად სათქმელ სიტყვას. „ბინძური“ კაცობრიობის ლექსიკაში ყველაზე შეურაცხმყოფელი სიტყვაა, რომელიც კორექტულ ინტელიგენტს არ უნდა წასცდეს!!! ამავე დროს, ბ-ნ ნოდარს უნდა მოვაგონო ისიც, რომ მისთვის საძულველ საბჭოთა ქვეყნის ოფიციოზშიც კი თვით ყველაზე საზიზღარი დამნაშავის მიმართაც იშვიათად გაისმოდა მსგავსი სიტყვები. (სულო ცოდვილო! არც ის მაგონდება, რომ ბოლშევიკებს ვინმე საფლავიდან ამოეთხარონთ).

რაც შეეხება ბ-ნ მ.მოსულიშვილს, რომლის შესახებაც თუ გამიგონია მხოლოდ, რომ ის მწერალია, მაგრამ მისი არაფერი წამიკითხავს, რადგან მიხოდე იმდენი დგას რიგში, ალბათ, ერთი სიცოცხლე არ მეყოფა მათ წასაკითხად, მით უფრო, რომ უკანასკნელ ხანებში, მართლაც, ვინც მელანი და კალამი იშოვა, ყველა მწერალ-ჟურნალისტი გახდა, ხოლო ვინც თოფი-გენერალი (რა თქმა უნდა, ვიცი ისიც, რომ უნიჭოზე უნიჭოდ მწერლობდა ს.თოდრიაც და ყოფილი სტამბის მუშის მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ დასმას, რასაც საბჭოთა საქ-ში ჰქონდა ადგილი, არავითარი გამართლება არ ჰქონდა). ჰო, ცოტა სიტყვა გამიგრძელდა, ბ-ნ მიხოსაც ძალზე მოკრძალებით ქრისტეს მაგალითს შევახსენებდი და ვურჩევდი, რომ ხომ აჯობებდა, პატივცემულო მწერალო, ვიდრე სხვის ჩასაქოლად წამოვავლებდით ქვას ხელს, ვიდრე შორს, მთის წვერზე ავქოშინდებოდით წერაქვით, თანაც სხვისი მკვდრის ამოსათხრელად, ჯერ ცოტა ახლოს მიმოგვეხედა, თვალი ბარში მიმოგვეტარებინა, იქნებ მოსულიშვილების გვარშიც გვეპოვნა ვინმე საფლავში არდასაყენებელი, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ ამ გვარს სახელოვანი ფორე მოსულიშვილის გვერდით ჰყავს სხვაც, შემარცხვენელიც, სატანაზე სატანა, რომელსაც, საცა სამართალია, ქართული მიწა კი არ უნდა მადლყოფდეს, არამედ ყვავ-ყორნები სჯიჯგნიდეს. ერთი სიტყვით, ბატონო მიხო, იძულებული ვხდები, ცოტა უხამსი, მაგრამ თქვენზე საოცრად მორგებული ერთი ქართული სენტენციაც შეგახსენოთ: „ჯობს ყველამ თავის... მამიდას მოუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს. მაგრამ იქნებ ერთ-ერთ ყველა მწერალო, მორეული თუ ახლობელი ბიძა-მამიდები აქ არაფერ შუაშია, მათზე მეტად თქვენ საკუთარი თავის დარდი გაწუხებთ და მთაწმინდაზე განსასვენებელს იჯავშნით?! ქართველი კაცის პათოლოგიურ-მანიაკალური ამბიციების ამბავი რომ ვიცი, არც ეგ გამიკვირდება! აკი რუსები დავაგიჟეთ კიდეც, საქ-ში რომ შემოდიოდნენ, იმით, რომ ვისაც მთის წვერზე წამოსკუპული ქოხი გააჩნდა და ნახევარი ქცევა მიწა, ყველა აზნაური იყო.

რა თქმა უნდა, ბატონო მიხო, ვინც არ უნდა იყოს პიროვნება, საფლავი სადა უჯობს დიდი ნაპოლეონივით და თქვენც ასეთივეს გირჩევთ, რათა ს.თოდრიას და მისთანების ხვედრი არ გაიზიაროთ, ისე... 200 წლის შემდეგ, ოლიმპოზეც რომ დაგმარხონ დაუმსახურებლად და მომავალში ამის გამო იქიდან ამოგთხარონ, მე ამას თქვენს მიმართაც არაეთიკურად ჩავთვლიდი, რადგან ადამიანის, ვინც არ უნდა იყოს იგი, საფლავში შეწუხებაზე დიდ უკაცურობად არაფერს მივიჩნევ. სწორედ ამიტომ ახალპატრიოტი ქართველების მისამართით ხმამაღლა ვაცხადებ, რომ სწორედ მათი ამგვარი მოქმედებაა მიზეზი იმისა, რომ ვერც ისინი ხარობენ და ვერც საქართველო. ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად შემიძლია წარმოგიდგინოთ სხვა, ძალზე მყარი არგუმენტიც, მაგრამ ამაზე ძალზე კონფიდენციალურად და სხვა დროს...

ახლა „რაიც“ ს.თოდრიას პიროვნებას შეეხება!

მის სასარგებლოდ შემიძლია მხოლოდ ძალზე მოკრძალებულად ვილაპარაკო, რადგან პირადად არ ვიცნობდი (ისი ჩემს დაბადებამდე გარდაცვლილა), აქა-იქ კი, რაც გამიგონია და წამიკითხავს, რატომ არ უნდა წარმოვაჩინო, იქნებ მცირედ მაინც შევეწიო მორალურად, როგორც ახლობელს.

პირადად მ.. თუ ს.თოდრიას ნაცნობი სადმე გადამწყდომია, ყოველთვის ყველასგან მხოლოდ კარგი მოგონებია. გაიგონა თუ არა ჩემი გვარი ლექციაზე მწერალმა და ჩემმა ლექტორმა ს.ჯილაიამ, სიყვარულით თვალებგაბრწყინებულმა გაიხსენა ბატონი სილიბისტრო. სიმპათიით მოიხსენია იგი ჩემთან საუბარში დ.ალდიაშვილის ქალიშვილმა, ქ-ნმა ქეთევანმაც.

ნათესავებისაგან ვიცი, რომ, მიუხედავად კომუნისტობისა, თოდრია იყო ტიპიური ქართველი კაცი, ტიპიურადვე მატარებელი ქართული სისუსტეებისა. როდესაც ერთხელ, ბადდადში მივლინებაში მყოფი, იგი გადაჰყრია რომელიღაც კულაკ ვაჭარ თანამოგვარეს, რომელსაც თურმე იქაური კომუნისტები უპირებდნენ იმ მიწის ჩამოჭრას, სადაც დუქანი სდგმია, ყველაფერი ხელუხლებლად დაუტოვებია მისთვის და იმავე საღამოს კარგადაც მოულხენია ძის ოჯახში.

გ.ქიქოძის იმავე „ჩანაწერებში“ (თუ არ ვცდები მხოლოდ იმაში, რომ ნამდვილად ქიქოძეა მისი ავტორი!), რომელსაც ნ.გრიგალაშვილი იმოწმებს ზემოხსენებულ წერილში და რომელიც მოგვითხრობს, როგორ დასტიროდა ჩვენი ხალხი ლ[illegible] უკიდებ[illegible] საქ-თვის ბრძო[illegible] დაღუპ[illegible] 1921 წლის თებერვ[illegible] ეათქვამია [illegible] შესახებაც, რომ საძგ[illegible]

პროცესიას მიჰყვებოდა და ბოლომდე მიჰყვა მხლით შემოსილი ს.თოდრიაც. უკვე ამ ფრაზაში, ალბათ, ჩემს გარდა, სხვაც შენიშნავს მოგონებების ავტორის უაღრესად მოკრძალებულ და სიმპათიურ დამოკიდებულებას ს.თოდრიასადმი.

ისტორიულად ცნობილია, რომ ბ-ი ს-ო გახლდათ ნაციონალისტ-უკლონისტი, დაუძინებელი მტერი შერეული ქორწინებისა და ერთა ასიმილაციისა, რის გამოც კარგი დღე არ ელოდა, რეპრესიების დაწყებამდე რომ არ გარდაცვლილიყო, საშაგიეროდ, დაუმსახურებელ სასჯელს ვერ ასცდა მისი ძმა ეფრემ თოდრია, რომელმაც, შეურაცხყოფილმა იმით, რომ მის პატიოსნებაში ეჭვი შეიტანეს, თავი ჩამოიხრჩო ციხეში. მიუხედავად ამისა, მისი შვილები ბოროტებით არ აღვსილან და სამშობლოს არ განსდგომიან. ს.თოდრიას ერთ-ერთი ქალიშვილი ეკატერინა მადლენა თოდრია, II მსოფლიო ომში მონაწილეობდა, სადაც ტყვეთ დაავადდა და ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. მისი ძმა, პავლე თოდრია, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ინჟინერი იყო წლების განძილზე, უბადლო ერთგულებითა და პატიოსნებით ეპყრობა ამ საწარმოს, რის გამოც რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერის წოდება მიენიჭა და ამიტომაც მის სახელს ატარებს დღემდე რუსთავის ერთ-ერთი ქუჩა.

II მსოფლიო ომში დაიღუპა ძმაკაცი, შალვა თოდრია, აქვე ბინადარი და მისი შმაც, რომლის სახელიც, კუკური თოდრიამ, კოლმეურნეობას დაუმალა ასაკი და 17 ნოხალისად წავიდა ომში, სადაც დაიღუპა კიდეც.

ს.თოდრიას ქალიშვილს, თეატრმცოდნე ნათელა თოდრიას, მოსკოვში მოღვაწე ერთ-ერთ სახელოვან ქართველ ქალად ახასიათებენ ნაცნობ-მეგობრები.

როგორც ხედავთ, იმ საგვარეულო-სანათესაოს, რომლის ფუძეხეს ს.თოდრია წარმოადგენს, ქვეყნისა თუ საზოგადოებისათვის ფრიად კეთილნი ნაყოფნი უბოძებია და რაღა ეს მამაფესვი, რომელიც ბავშვობის ასაკიდანვე უსამართლობას ებრძოდა და ბედნიერი ქვეყნის აშენებისათვის იღვწოდა, გამოვიდა თუ გამოდგა ბოროტი და ბინძური?! ცოტა მიჭირს ამის დაჯერება. მიჭირს მით უფრო, რომ ერთ-ერთ თავყრილობაზე ბატონმა აკ. ბაქრაძემ, რომელსაც არქივშემეცნებლის სახით ჩვენში ბადალი იშვიათად მოეძებნება, გაიცხადა: თითქმის ყველა კომუნისტზე მაქვს მოძიებული რაღაც უარყოფითი, გარდა ს.თოდრიასი.

დარწმუნებული ვარ დღეიდან, თუ ჩემი წერილი გამოქვეყნების ღირსი გახდა, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რათა დაიძებნოს ს.თოდრიას მაკომპრომეტირებელი წერილობითი საბუთები (სხვათა შორის ზოგთა ცოტა ზომაზე მეტად ტემპერამენტიანი ჟინიცაა ასეთი, რომ ასე თუ ისე მეტ-ნაკლებად გამოჩენილი ყველა ძველი კომუნისტი ზნეცოდვილი გამოდგეს). ამასთან დაკავშირებით ვაცხადებ, რომ გულწრფელად არ მსურს დავემსგავსო იმ პატრონესას, რომელიც ყველაფერს კადრულობს იმისათვის, რათა საკუთარ ხეიბარ ფავორიტ გაატანინოს ლელო, მაგრამ მე მაინც ვიტოვებ იმის უფლებას, რომ თვით არქივული მასალების უტყუარობაშიც შევიტანო ეჭვი, რადგან ძალიან კარგად მახსოვს ზ.გამსახურდიას ხელისუფლების დროს როგორ ქვეყნდებოდა პრესაში ოპოზიციის მამხილებელი რაღაც წერილობითი საბუთები, რის რეალურობასაც კატეგორიულად უარყოფდნენ პირები, რომელთაც ეს ეხებოდათ.

ს.თოდრია ვინ ყოფილა და მისი გალაფვა ვის გაუჭირდება, როცა უკანასკნელ ხანებში ქვესკნელში მიმოძვრებიან იმისათვის, რომ სტალინს „ოხრანკის" აგენტობაც კი „გამოუფიჩხრიკონ". ამ სიტყვის სრული ძნიშვნელობით, როცა ტყვრებიან ისეთი ქართველებიც, რომლებიც ენაგადმოგდებული დაგეშელაობენ, რათა მასვე ი.ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობაც კი მიაწერონ და მიათითხონ, თითქოს ს.ჯუღაშვილს ცოდვები აკლდეს. ამ ადამიანებს მე კვლავ ტაჭსილ-ქრისტეს ურთიერთობას შევახსენებ.

ვინ იცის, როგორ ჩაეცინა მავანს, ზემოთ რომ ვთქვი, ს.თოდრია ბავშვობიდანვე უსამართლობის წინააღმდეგ და ბედნიერი ქვეყნის აშენებისათვის იბრძოდა-მეთქი. სასაცილო არ გახლავთ ეს, ბატონებო! დედამიწაც რომ გააპოთ, ისტორიის სამართალს ვერ დამარხავთ! კომუნისტების რევოლუციამდელ (და იქნებ შემდეგდროინდელსაც) გმირულ მოღვაწეობას მიწის მტვერი ვერ დაფარავს. ვერ ააშენეს ნაოცნებარი ბედნიერი ქვეყანა? რას იზამ! წინააღმდეგობა სიტყვასა და საქმეს შორის მთელი საადამიანეთის აქილევსის ჭუსლი. ამ წინააღმდეგობის დაძლევა რომ კაცობრიობას შესძლებოდა, რაღა გვიჭირდა, მსოფლიოს ყველა ტკივილიანი პრობლემა მოუხსნებოდა. აი როგორ დასძლიეთ ეს წინააღმდეგობა თქვენ, ახალპატრიოტებმა, კარგად დავინახეთ! საუკეთესოდ მახსოვს, რომ გაჰყვიროდით: ჩვენ ზნეობრივი სიდიადეების მაგალითებს ვუჩვენებთო ყველას. სახეზეა ეს „ზნეობრივი სიდიადეები". ამ მაგალითით დღეს დისშვილი საკუთარ დეიდას აუთოებს. ქართველთა შორის დათესილი სიძულვილი გახლავთ მისი ნაყოფი. ახლაც, ამ წუთებში, ჩვენ ყველა ამ სიძულვილის რაშს მივაჭენებთ და, მიუხედავად იმისა, რომ მთელი საქართველო გადავთქვრეთ, უკან მაინც არ ვიხევთ.

ჩვენი სამშობლოს, საქართველოს საშველი არ იქნება, ბატონებო, თუ ამ რაშიდან არ ჩამოვსკუპდებით!!!

ბოლოსიტყვაობის მაგიერ!

ალბათ, მკითხველს გაოცებს ჩემი დაგვიანებული პასუხი. ეს განაპირობა როგორც ჩემი, ისე ოჯახის წევრების სერიოზულმა ავადმყოფობამ ამ უკანასკნელი საშინელი ზამთრის გრძელ მანძილზე. პარალელურად პასუხმიგების სურვილიც მტანჯავდა და როგორც იქნა, თავიც მოვაბი, ისე „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო", — ნათქვამია.

ახალპატრიოტო ქართველებო! გთხოვთ დამიჯეროთ, რომ ზიზღით სავსე ეს ტირადა თქვენმა სიყვარულმა დამაწერინა.

ნარბიზა თოდრია

საქართველოს დამოუკიდებლობა და ჩვენი ნაციონალისტები

მკითხველო, ყურადღებით წაიკითხე ეს წერილი. იგი მართალია წარსულის გაორებულ ადამიანთა ფსიქიკას ხატავს, მაგრამ მისი პათოსი მთლიანად მიესადაგება ჩვენს დღევანდელ ე.წ. დემოკრატებს, რომელნიც ლამის იდეოლოგიას იმუშავებენ იმის შესახებ, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია.

ცხადია, ვერც შეძლებს, თუ ამ დამოუკიდებლობის გარანტად სწორედ ის ადამიანები გვევლინებიან, რომელთაც სამშობლოს თავისუფლებისა თავად არაფერი სწამთ...

ნაციონალისტთა ბანაკში დღეს დიდი ზეიმია. ყველა აღტაცებაშია მოსული; უსაზღვრო სიხარულსა და აღმაფრენას ეძლევიან. ბ. ია ეკალაძე თავდავიწყებამდე მისულა მეტის-მეტი სიამოვნებით, [illegible]ი მზათ არის ეამბოროს [illegible] გადაკოცნოს ყველა, [illegible]ც ქუჩაში შეხვდება, [illegible]ელ ერთია, სომეხი იქნება [illegible]ი, თათარი თუ სხვა ვინმე. გაზ. „საქართველო" კიდევ უფრო შორს მიდის, მისი აზრით აწი საჭირო არ არის არც რევოლუციონური ორგანიზაციები, არც რევოლუციონური პარტიები. ერთი სიტყვით, რევოლუცია უკვე ზედმეტ ბარგათ გამხდარა და დროა ქართველმა ხალხმა მას თავი დააღწიოს, სიტყვა „რევოლუციონერი" სამუდამოთ ამოიშალოს დემოკრატიის ლექსიკონიდან. ნაციონალ-დემოკრატებს არც ჩვენი სოც. ფედერალისტები ჩამორჩენენ. ისინიც თავს ბედნიერათ გრძნობენ და დაუფიქრებლად ჩაებნენ სადღესასწაულოფერხულში. „სახალხო საქმე"-ში ვიღაც ლ.მეტრეველი პათეთიურის ხმით ეკვედრება უფალს; „აღსრულდა, აწ განუტევე, უფალო, სული ჩემიო".

ერთი სიტყვით, ყველა ჯურის ნაციონალისტები გაერთიანდნენ, მათი ბანაკი სადღესასწაულოთ არის მორთული, უსაზღვრო ბედნიერებას გრძნობენ და სიხარულის ცრემლებს უხვათ აფრქვევენ. და როცა თვალ-ყურს ადევნებ ნაციონალისტთა ამ ღღესასწაულს, ადამიანს გეგონება, თითქოს ღღევანდელი უკუღმართი მდგომარეობა მართლაც შეცვლილიყოს ფართო მასის სასარგებლოდ, თითქოს საერთაშორისო სისხლის ღვრას, უდანაშაულო მოძმეთა ხოცვა-ჟლეტას უკვე მოელო ბოლო, ქვეყანაზე მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება დამყარდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არც ერთი ეს ჯერ არ მომხდარა, ძმათა შორის სისხლის ღვრა კვლავ გრძელდება, კვლავ ნადგურდება საუკუნოებით შექმნილი კულტურა და ჩვენი სამშობლოც კრიტიკულ მდგომარეობაშია. მას საშინელი საფრთხე მოელის გარეშე მტერთა ურღოებისაგან.

მაშ, რაშია საქმე, რა მოხდა? რამ გამოიწვია ნაციონალისტთა შორის უსაზღვრო სიხარული ამ სისხლის წვიმების დროს? რათ გრძნობენ თავს ბედნიერათ ჩვენი ნაციონალისტები მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ომის ალშია გახვეული, რომელიც მას ჩანთქვას უქადის?

სხვადასხვა ისტორიული მიზეზების გამო, რომელთა გაღრმავებას აუცილებლათ ხელი შეუწყო ბოლშევიკების გამოსვლამ, რუსეთის რევოლუციამ ვერ მიიღო ისეთი მიმართულება, როგორც მოითხოვდა დემოკრატიის ინტერესები და იგი დღეს შეიძლება დამარცხებულათ ჩაითვალოს, დემოკრატიამ დაჰკარგა თავის პოზიციები და მთელი რუსეთი ანარქიამ მოიცვა.

ჩვენი დემოკრატია, რომელიც იბრძოდა რუსეთის დემოკრატიასთან ერთად და მზათ იყო კვლავ ამ ძველი, ნაცადი გზით ევლო, ღღეს იძულებული შეიქმნა თავის მოქმედების ასპარეზი საქართველოს ფარგლებით განესაზღვრა. ერთის მხრით საერთაშორისო მდგომარეობამ, გარეშე მტრის საფრთხემ და მეორეს მხრით ამიერკავკასიის მთლიანობის დარღვევამ აიძულა ქართველი დემოკრატია გამოეცხადებია საქართველოს დამოუკიდებლობა.

აი სწორედ ამ გარემოების, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოცხადების გამო ეძლევიან ჩვენი ნაციონალისტები უსაზღვრო სიხარულს.

შეუძლია ქართველ დემოკრატიას ნაციონალისტებთან ერთად მიიღოს მონაწილეობა ამ სადღესასწაულო ზეიმში?

ცხადია არა, იმიტომ რომ ქართველ დემოკრატიას ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავის მიზნისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობა მის მიზანს არ შეადგენდა, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ ისეთ პატარა ერს, როგორიც არის ქართველობა, დამოუკიდებლათ არსებობა ღღევანდელ კაპიტალისტურ წყობილების დროს არ შეუძლია და საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადებასაც ღღევანდელ პირობებში დემოკრატია უცქერის როგორც იძულებით ნაბიჯს, გარეშე ძალთა მიერ ნაკარნახევს, როგორც საშუალებას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქართველი ერის ფიზიკურ არსებობის შენარჩუნებას. და როცა ეს საშუალება გასჭრის, როცა საქართველო თავიდან აიშორებს გარეშე მტერთაგან განადგურებისა და დაპყრობის საფრთხეს, რაც აუცილებლად გულისხმობს საერთაშორისო ომის დასრულებას, ქართველი დემოკრატიაც მხოლოდ მაშინ მიეცემა ზეიმს, მხოლოდ მაშინ გადაიხდის ღღესასწაულს და ამ ღღესასწაულის სიდიადეს, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუშლის საქართველოს დამოუკიდებლობა, ვინაიდან ეს სრულებით არ ეწინააღმდეგება ჩვენს პროგრამაში აღნიშნულ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. პირიქით, მაშინ.ეს დამოუკიდებლობაც მაროლა სადღესასწაულო ფაქტათ გადაიქცევა.

ღღეს კი, როცა შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის გამო ჩვენს მომავალს დიდი კითხვითი ნიშანი აქვს დასმული, როცა გარეშე თუ შინაური მტრები განადგურებით გვემუქრებიან და ქართველი დემოკრატია კვლავ იძულებულია იარაღი აიხსას და საბედისწერო ბრძოლა აწარმოოს, იგი სრულის შეგნებით შეხვდება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და დარწმუნებული, რომ ჯერ კიდევ არ განხორციელებულა მისი მიზანი, ვერ მიეცემა ბავშვივით ნაადრევ სიხარულს.

ქართველი დემოკრატიის ღღესასწაული სულ სხვა დროს და სხვა პირობებში გათენდება.

ვ. ნიკურაძე

4.VI.1918 წ.

გაზ. მართლა

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია

გაგრძელება

დასაწყისი № 10,11,12

მუხლი 95

პარლამენტის მიერ მიღებული კანონი გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც მას 15 დღის განმავლობაში ხელს აწერს ან უბრუნებს თავის საწინააღმდეგო მოსაზრებებით პარლამენტს ხელახალი განხილვისა და კენჭისყრისათვის. პრეზიდენტი ხელს აწერს კანონს, თუ მას პარლამენტში ხელახალი კენჭისყრის დროს მხარი დაუჭირა პარლამენტის წევრთა არანაკლებ 3/5-მა.

კანონი ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან თუ თვითონ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 96

პარლამენტის მიერ მიღებული და პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონი გადაეცემა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმზე, თუ ამას მოითხოვს არანაკლებ 100000 ამომრჩევლის მიერ ხელმოწერილი პეტიცია.

რეფერენდუმზე არ შეიძლება გადაეცეს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის ან დენონსაციის, ბიუჯეტის, გადასახადების ან ამნისტიის შესახებ.

რეფერენდუმის ჩატარების წესს განსაზღვრავს კანონი

თავი V

მთავრობა

მუხლი 97

საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას ანხორციელებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა. იგი განსაზღვრავს და ანხორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას და ხელმძღვანელობს სახელმწიფო ადმინისტრაციას.

მუხლი 98

მინისტრთა კაბინეტი შედგება პრემიერ-მინისტრისაგან, მინისტრებისაგან და სახელმწიფო მინისტრებისაგან

მუხლი 99

პრემიერ-მინისტრს პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი.

მინისტრებს და სახელმწიფო მინისტრებს პრემიერ-მინისტრის წინადადებით ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი.

თუ პარლამენტი თანხმობას არ განუცხადებს პრეზიდენტს, მის მიერ დასახელებული კანდიდატის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნაზე, პრეზიდენტი 7 დღის განმავლობაში წარმოადგენს ახალ კანდიდატურას.

თუ პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის პოსტზე პირველი კანდიდატის დანიშვნაზე თანხმობის მისაცემად ჩატარებული კენჭისყრიდან 2 თვის განმავლობაში არ მიიღებს თანხმობას მის მიერ წამოყენებულ კანდიდატურაზე, იგი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და დაითხოვს პარლამენტს.

მუხლი 100

პრემიერ-მინისტრად და მინისტრებად შეიძლება დანიშნოს მხოლოდ ის პირი, რომელსაც აქვს პარლამენტის წევრად არჩევის უფლება.

მინისტრთა კაბინეტის წევრი არ შეიძლება იყოს რაიმე სხვა ანაზღაურებით თანამდებობაზე, იყოს სახელმწიფო წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან ეწეოდეს კომერციულ თუ პროფესიულ საქმიანობას:

მუხლი 101

მინისტრთა საბჭო იქრიბება პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის წევრების შემადგენლობით.

მინისტრთა საბჭოს სხდომებს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი.

მუხლი 102

მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას; აგრეთვე ახორციელებს კონსტიტუციით მისთვის მიკუთვნებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მინისტრთა საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რაც მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციას განეკუთვნება.

მუხლი 103

მინისტრთა კაბინეტი:

ორგანიზაციას უკეთებს პარლამენტის მიერ მიღებული კანონების და დადგენილებების შესრულებას;

შეიმუშავებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას პარლამენტს, ორგანიზაციას უკეთებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და წარუდგენს პარლამენტს ანგარიშს მისი შესრულების შესახებ;

ხელმძღვანელობს, კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს სახელმწიფო ადმინისტრაციის მუშაობას;

ორგანიზაციას უკეთებს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებს;

უზრუნველყოფს საგარეო და საშინაო უშიშროებას;

ანხორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;

მინისტრთა კაბინეტი იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო პოლიტიკის ყველა საკითხზე, რაც კანონმდებლობით სხვა ორგანოთა უფლებამოსილებას განეკუთვნება.

მუხლი 104

მთავრობა გადაწყვეტილებებს იღებს კოლეგიალურად მინისტრთა საბჭოს და მინისტრთა კაბინეტის სხდომებზე.

მუხლი 105

მინისტრთა საბჭო და მინისტრთა კაბინეტი კანონების საფუძველზე საკუთარი უფლებამოსილებების და კანონების განხორციელების მიზნით გამოსცემენ დადგენილებებს და ბრძანებულებებს, ხოლო პრემიერ-მინისტრი და მინისტრები — განკარგულებებს და ბრძანებებს.

პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების განკარგულებების და ბრძანებების გაუქმების უფლება აქვს მინისტრთა კაბინეტს.

მუხლი 106

პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს მინისტრთა კაბინეტის მუშაობას, უზრუნველყოფს მის ერთიანობას და კოორდინაციას უწევს მინისტრების საქმიანობას.

პრემიერ-მინისტრი არის სახელმწიფო ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირი.

მუხლი 107

მინისტრი ხელმძღვანელობს შესაბამის სამინისტროს და უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას სახელმწიფო მმართველობის შესაბამის დარგში. მისი კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

სახელმწიფო მინისტრის კომპეტენციას და საქმიანობის სფეროს განსაზღვრავს პრეზიდენტი კანონმდებლობის ფარგლებში.

ცალკეულ სამინისტროებს შორის არსებულ უთანხმოებებს გადაწყვეტს მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 108

მინისტრთა კაბინეტს უფლება აქვს ითხოვოს გადადგომა, რომელსაც იღებს ან უარყოფს პრეზიდენტი. გადამდგარი პრემიერ-მინისტრი ან მინისტრი თავის მოვალეობას ასრულებს შესაბამისად ახალი პრემიერ-მინისტრის ან მინისტრის დანიშვნამდე.

მუხლი 109

მინისტრთა კაბინეტი უნდა გადადგეს:

პრეზიდენტის არჩევისას;

პარლამენტის მიერ ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმის ან უნდობლობის გამოცხადებისას;

პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის, განთავისუფლების, გარდაცვალების ან მისთვის უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში.

მუხლი 110

მინისტრთა კაბინეტის წევრები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე კოლექტიურად მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაზე და ინდივიდუალურად თავის უწყების მოქმედებაზე.

მუხლი 111

პარლამენტს და მის კომისიებს უფლება აქვთ მოსთხოვონ მინისტრთა კაბინეტის წევრებს დაესწრონ პარლამენტის და კომისიების სხდომებს, გადასცენ მათ საჭირო ინფორმაცია, აღმოუჩინონ მათ დახმარება თავიანთი უფლებამოსილების განხორციელებაში;

მინისტრთა კაბინეტის წევრებს უფლება აქვთ დაესწრონ პარლამენტის და კომისიების სხდომებს, მოსმენილ იქნენ პარლამენტის ან კომისიების სხდომებზე ნებისმიერ მომენტში.

პარლამენტის წევრს უფლება აქვს ზეპირი ან წერილობითი შეკითხვა დაუსვას პრემიერ-მინისტრს ან მინისტრთა კაბინეტის წევრს, რომელზედაც პასუხი უნდა გაიცეს 15 დღის განმავლობაში.

მუხლი 112

მინისტრთა კაბინეტი უნდა სარგებლობდეს პარლამენტის ნდობით.

პრემიერ-მინისტრი პარლამენტის არჩევნების შემდეგ გამართული პირველი სხდომიდან 15 დღის განმავლობაში წარუდგენს პარლამენტს მთავრობის საერთო პოლიტიკურ პროგრამას და თხოვნას მინისტრთა კაბინეტისადმი ნდობის გამოცხადების შესახებ.

პარლამენტი მინისტრთა კაბინეტს ნდობას უცხადებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

მუხლი 113

პრემიერ-მინისტრს მინისტრთა კაბინეტის თანხმობით უფლება აქვს ნებისმიერ მომენტში ითხოვოს პარლამენტისაგან მინისტრთა კაბინეტისადმი ნდობის გამოცხადება.

მუხლი 114

პარლამენტს უფლება აქვს გამოუცხადოს უნდობლობა მინისტრთა კაბინეტს, პრემიერ-მინისტრს ან ცალკეულ მინისტრს.

საკითხი მინისტრთა კაბინეტისადმი, პრემიერ-მინისტრისადმი ან ცალკეული მინისტრისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ დგება პარლამენტის წევრთა 1/8-ის მოთხოვნით.

დებატები უნდობლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით იმართება წერილობითი მოთხოვნის შეტანიდან არაუადრეს 3 (და არაუგვიანეს 10) დღის შემდეგ.

პარლამენტი მინისტრთა კაბინეტს უნდობლობას უცხადებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით.

თუ წინადადება მინისტრთა კაბინეტისადმი უნდობლობის გამოცხადების შესახებ უარყოფილი იქნა, ახალი წერილობითი მოთხოვნა პარლამენტში შეიძლება შეტანილ იქნეს აღნიშნული კენჭისყრიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. ამ ვადის გასვლამდე წერილობითი მოთხოვნა შეიტანება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელს აწერს პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.

თავი IV

მართლმსაჯულება

მუხლი 115

მართლმსაჯულებას საქართველოს რესპუბლიკაში ანხორციელებს მხოლოდ სასამართლო.

მართლმსაჯულება წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის სახელით.

მუხლი 116

საგანგებო სასამართლოები აკრძალულია.

სასამართლოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 117

სასამართლოს არცერთი აქტი არ შეიძლება გაუქმებულ, შეჩერებულ ან შეცვლილ იქნეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ.

მუხლი 118

მოსამართლედ შეიძლება დანიშნოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე, არანაკლებ 25 წლის ასაკის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე. კანონით შეიძლება დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

საკონსტიტუციო სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ, აგრეთვე, იუსტიციის უზენაესი საბჭოს წევრად შეიძლება დანიშნოს არანაკლებ 35 წლის ასაკის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც აქვს იურიდიული ან იურიდიული სპეციალობის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი.

მოსამართლე არ შეიძლება იყოს სხვა რაიმე ანაზღაურებით თანამდებობაზე, ეწეოდეს კომერციულ თუ პროფესიულ საქმიანობას, გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა, იყოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან პოლიტიკური პარტიის წევრი.

მუხლი 119

მოსამართლეთა დანიშვნის წესი და უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება კანონით. აღნიშნული ვადის განმავლობაში მათი გათავისუფლება ან სხვა სასამართლოში თუ თანამდებობაზე გადაყვანა შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე და წესით.

მუხლი 120

მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

მუხლი 121

მოსამართლეები ხელშეუხებელნი არიან.

საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიეცემიან მხოლოდ პარლამენტის თანხმობით, ხოლო სხვა მოსამართლეები იუსტიციის უზენაესი საბჭოს თანხმობით.

მუხლი 122

მართლმსაჯულება ხორციელდება კანონის და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე.

საქმის განხილვა ყველა სასამართლოში ღიაა. სასამართლოს დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, სამართალწარმოების ყველა წესის დაცვით.

სასამართლო სისხლის სამართლის საქმეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განიხილავს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 123

თუ სასამართლო კონკრეტული საქმის წესისას დაადგენს, რომ კანონი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს ამ საქმესთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მაშინ მოსამართლე აჩერებს საქმის წარმოებას და წარდგინებით შედის საკონსტიტუციო სასამართლოში მოცემული კანონის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ.

მუხლი 124

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 8 მოსამართლისაგან, რომლებსაც 10 წლის ვადით პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი. ყოველ 5 წლიწადში საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის ნახევარი უნდა განახლდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან 5 წლის ვადით ნიშნავს პრეზიდენტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მოცემულ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ერთი ვადით.

საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი, საქმიანობის და მასში საქმეების განხილვის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 125

საკონსტიტუციო სასამართლო:

განიხილავს საკითხს კანონებისა და პარლამენტის დადგენილებების, აგრეთვე, ძალაში არშესული საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციასთან, ხოლო პრეზიდენტისა და მთავრობის აქტების კონსტიტუციასთან და კანონებთან შესაბამისობის შესახებ,

განიხილავს სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის შესახებ დავებს,

განიხილავს საკითხს პოლიტიკური პარტიის თუ საზოგადოებრივი გაერთიანების არაკონსტიტუციურად გამოცხადების შესახებ,

ამოწმებს არჩევნების და რეფერენდუმების ჩატარების კანონიერებას,

წყვეტს კონსტიტუციით მისთვის განკუთვნილ სხვა საკითხებს,

ამ მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულ საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5 მიმართვის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში იმ პირთა წრე, რომლებსაც აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის უფლება, განისაზღვრება კანონით.

მუხლი 126

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც კონსტიტუციით მის კომპეტენციას განეკუთვნება, საბოლოოა.

მუხლი 127

125-ე მუხლის I პუნქტში აღნიშნული აქტები ან მათი ნაწილები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა, ძალას კარგავენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ოფიციალური გამოცხადების დღიდან.

მუხლი 128

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანოა და ზედამხედველობას უწევს სასამართლოების საქმიანობას.

უზენაესი სასამართლოს სტატუსი, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

მუხლი 129

იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 10 არჩევითი წევრისაგან, რომლებსაც პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი. მის შემადგენლობაში შედის იუსტიციის მინისტრი.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს პრეზიდენტი.

მუხლი 130

იუსტიციის უმაღლესი საბჭო:

წარუდგენს პრეზიდენტს მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატურებს.

განიხილავს მოსამართლეთა სამსახურებრივი გადაადგილების, თანამდებობიდან გათავისუფლების და დისციპლინარულ საკითხებს.

მუხლი 131

პროკურატურა წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას, რომელსაც მეთაურობს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი. გენერალურ პროკურორს 5 წლის ვადით პრეზიდენტის წარდგინებით ნიშნავს პარლამენტი.

პროკურატურა ანხორციელებს დანაშაულის შესახებ საქმის გამოძიების კანონიერებაზე, სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობას, სისხლის-სამართლებრივ დევნას, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად სარჩელის წარდგენას სასამართლოში.

პროკურატურის ორგანიზაციის და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სამხედრო საქმე

ომი და მშვიდობა

ნ. გოგიტიძე

მშვიდობა კაცობრიობის პროგრესის მნიშვნელოვანი პირობაა. ხალხები ნიადაგ ოცნებობდნენ მტკიცე, სამართლიან მშვიდობაზე, მშვიდობაზე სოციალური და ეროვნული ჩაგვრის გარეშე, მაგრამ მრავალი ათასწლეულების განმავლობაში დედამიწაზე ერთმანეთის მიყოლებით ფეთქდებოდა ომები — ძალზე სუსტი და არაორგანიზებული იყო აგრესიული პოლიტიკის საპირისპირო საზოგადოებრივი ძალები.

„ცივი“ ომის დაბრუნებამ, უკანასკნელი იმპერიის კრახმა სამყაროს ძალთა თანაფარდობა კეთილმეზობლური პოლიტიკის სასარგებლოდ გადახარა.

მაგრამ ომისა და პოლიტიკის თანაფარდობის, ეკონომიკური, მეცნიერული, სოციალურ-პოლიტიკური და მორალურ-პოლიტიკური ფაქტორების ურთიერთკავშირის, ომში იდეოლოგიის როლის შესწავლა იმპერიის ნანგრევებზე ახლადაღმოცენებული სახელმწიფოებისათვის პირველხარისხოვან როლს იძენს იმდენად, რამდენადაც მათ, გარკვეულწილად, ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნებათ ამ სახელმწიფოთა გადარჩენასა და ჩამოყალიბებაში.

ომსა და არმიაზე შეხედულებათა აღმოცენება საზოგადოების ჩამოყალიბებასა და მის განვითარებაზეა დამოკიდებული. თავისი გაჩენის მომენტიდანვე, იდეოლოგიის ერთ-ერთმა მხარემ, სამხედრო-თეორიულმა აზრმა დაიწყო შეხედულებათა გამოხატვა ომსა და არმიაზე, საზოგადოების ფუნქციონირების ხასიათზე.

ომისა და არმიის საკითხთა თეორიული განზოგადების ერთ-ერთი პირველი ცდაა „მანუს კანონები“ (VI სკ. ჩვენს ერამდე). მოგვიანებით ასეთი ცდები იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნის ძველ საბერძნეთსა და ჩინეთში.

მაგალითად, პლატონი ამტკიცებდა, რომ ომები კაცობრიობის ბუნებრივი და მუდმივი მდგომარეობაა, რამეთუ ისინი იძლევიან მონებს, რომელთა გარეშეც საზოგადოებას არსებობა არ შეუძლია. ლუკრეციუსი „საგანთა ბუნებაში“ წერდა,რომ ჭიდრე ადამიანები ველურები იყვნენ, არ იყო ომები და ათასობით კაცს გასაერთიანებლად არ მოუწოდებდნენ მხედრული დროშები.

შუა საუკუნეებში ომს რელიგიური მსოფლმხედველობის თვალსაზრისიდან ხსნიდნენ.წმინდა ავგუსტინე საზოგადოების ცხოვრებას ორი სამეფოს — „ღვთიური“ და „ცოდვილი“ სამეფოს ბრძოლად წარმოსახავდა. შესაბამისად აგებდა იგი ომის კონცეფციასაც, მას იგი მიჩნდა უცილობელ ბოროტებად, ურომლისოდაც არ არსებობს „ქრისტიანული სამყაროს კეთილდღეობა და სამართლიანობა“. იმავე პერიოდში, გამეფებული დოქტრინის საწინააღმდეგოდ, იტალიელი ფილოსოფოსი მარსელიუს პადუანელი წიგნში „მშვიდობის დამცველი“ გამოთქვამდა იდეებს იმის თაობაზე, რომ ომების მიზეზები ცაში კი არა დედამიწაზეა.

ინგლისელი ფილოსოფოსი ტ.ჰობსი ადამიანის ბუნებაში „ომის სამ ძირითად მიზეზს ხედავდა: პირველი მეტოქეობა,მეორე უნდობლობა, მესამე ხელისუფლების წყურვილი... პირველი მიზეზი ადამიანებს აიძულებს მოხვეჭის მიზნით თავს დაესხან ერთმანეთს; მეორე — ერთმანეთს თავს დაესხან საკუთარი უსაფრთხოების მიზნით; მესამე — ღირსების გამო“.

გერშანელი ფილოსოფოსს რ.ლაიმნიცს ომები გარდაუვალად მიაჩნდა. მისი თქმით, ომის ფესვები ადამიანთა გადაულახავ ურთიერთმტრობაშია. მონარქები მსოფლიოს ბედით ისე თამაშობენ, როგორც ბანქოს ქაღალდით; სამშვიდობო მოლაპარაკებები სხვა არა არის რა, თუ არა დროებითი ზავები, მარადიული სიმშვიდე მხოლოდ სასაფლაოზეა შესაძლებელი.

ომების მიზეზთა გაგებაში საგრძნობი წვლილი შეიტანეს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეოლოგებმა. ისინი მიუთითებდნენ, რომ ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ქონებრივი უთანაბრობა, ადამიანის საკუთრებისადმი ლტოლვაა. მათს კონცეფციებში ომები განსხვავებულ იდეურ, ფსიქოლოგიურ და სხვა მომენტებს უკავშირდებოდა. სწორედ მაშინ აღმოცენდა ვარაუდი, რომ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული განაწილება ომებს იწვევს. უტოპისტების აზრით კერძო საკუთრება ომის მუდმივი მიზეზია, ის არის არა მარტო ადამიანთა, არამედ სახელმწიფოთა, ქვეყნების, კოალიციათა მეტოქეობის გამომწვევი მიზეზი და აბამს მათ ომებში.

ომისა და პოლიტიკის განუყოფელი კავშირი, ის, რომ ომი თვითმიზანი კი არ არის, არამედ პოლიტიკას ემსახურება, უკვე ძველად იყო შემჩნეული, მაშინ, როდესაც ომის პოლიტიკური ხელოვნების ნაწილად მიჩნევა დაიწყეს.

ომის ერთ-ერთი თვალსაჩინო იდეოლოგის კ.კლაუზევიცის სამხედრო — თეორიულ შეხედულებებზე საგრძნობი გავლენა მოახდინა ჰეგელის დიალექტიკამ. მან შეძლო დაედგინა ომისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი. კლაუზევიცი შენიშნავდა, რომ შეუძლებელია ომის ახსნა პოლიტიკისაგან ძოწყვეტით, რადგან ომი მთელის ნაწილია, ხოლო მთელი არის პოლიტიკა. იგი წერდა: „ომი არის... პოლიტიკის სხვა ხერხებით გაგრძელება... ომი არა მარტო პოლიტიკური აქტია, არამედ ის არის პოლიტიკის ნამდვილი იარაღიც, პოლიტიკურ ურთიერთობათა გაგრძელება, ამ ურთიერთობათა განხორციელება სხვა საშუალებებით. ის, რაც ომში ჯერ კიდევ თავისებურია, მხოლოდ მისი საშუალებების თავისებურებებს უნდა მიეკუთვნოს“.

კლაუზევიცი ეყრდნობოდა იმას, რომ პოლიტიკა როგორც „განხორციელებული სახელმწიფოს გონება“ მთლიანობაში წარმოადგენს საზოგადოების ინტერესებს. ხოლო ომი მხოლოდ საგარეო პოლიტიკის გაგრძელებაა.

პოლიტიკა ეს კომპრომისების ხელოვნებაა, შესაძლებლობის ზღვარის ხელოვნება. იგივე შეიძლება თქვას ომზეც.

ფრანგ ენციკლოპედისტს ჰოლობახს ომი გამართლებულად მხოლოდ ერთ შემთხვევაში მიაჩნია: თუ ეს არის ომი თავდაცვის მიზნით. ის წერდა, რომ „ომი მხოლოდ იმ შემთხვევაშია სამართლიანი და გარდაუვალი, თუ ომობენ იმისათვის, რათა მოიგერიონ უსამართლო დამპყრობის თავდასხმა, რათა დაიცხრონ რომელიმე გონსგადასული ერის გააფთრება“. ი.კანტს ბუნებრივად მიაჩნდა სახელმწიფოთა შეკავშირება უსამართლო მოთხოვნებით გამოსული სხვა სახელმწიფოსათვის საკადრისი პასუხის გასაცემად.

ახალი დროის ბევრი მოაზროვნე ცდილობდა ომები ქვეყნისათვის გარდაუვალად და სასარგებლოდ წარმოედგინა, ის კი ავიწყდებოდა, რომ ომს თან ახლავს სიმდიდრის დაკარგვა და ზნეობრიობის დაცემა (ეს ნათლად ჩანს ჩვენს მაგალითზე).

მაგრამ თუ ომია, მაშინ, როგორც ჰობსი წერდა, „ბუნებრივი კანონის ძალით, ყოველი ადამიანი მოვალეა ომში მთელი შესაძლებლობებით დაიცვას ის ხელისუფლება, რომელიც მას იცავს მშვიდობიანობის დროს“.

ფრანგი ენციკლოპედისტები ომებს „ბარბაროსული ეპოქის“ გადმონაშთს ეძახდნენ. ისინი მკაცრად კიცხავდნენ დაპყრობასა და ძალმომრეობას, იცავდნენ ხალხთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს, მათ ომები ხალხების უბედურებად მიაჩნდათ. „ომი, წერდა დ.დიდრო, ახშობს ბუნების სამართლიანობისა და ჰუმანიზმის ხმას, ბადებს ძარცვა-გლეჯას და დანაშაულობას, ამახინჯებს მთელი ერის ზნეობას“.

ყველა მოაზროვნე, ვინც კი ომებს და მათს შედეგებს გმობდა, მშვიდობისაკენ გზების ჩვენებას ელტვოდა. ზოგიერთი მათი მოსაზრება ჩვენს დროშიც აქტუალურია, მაგალითად გამონათქვამში მშვიდობის ფესვები ადამიანების ომისადმი შიშში ხარობსო, ჩვენს საზოგადოებაში დღემდე ხედავენ იმის პერიფრაზას, რომ მშვიდობისაკენ მიმავალი გზები „განათლებული მმართველის გონიერ მართვაზე“ გადის.

არმიის პრობლემები უშუალოდ ომის პრობლემატიკიდან გამომდინარეობს. სახელმწიფოს არ შეუძლია უარმიოდ არსებობა.

საერთო-ეროვნული არმია მთელი საზოგადოების სადარაჯოზე დგას. იგი პოლიტიკის იარაღად გვევლინება სახელმწიფოს ხელში და იცავს ეროვნულ ინტერესებს.

არმიის ძლიერების წყაროა სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობა, ხალხისა და არმიის მორალური სული და სამხედრო საქმისა და მეცნიერების კავშირი.

არმიის ძალა, უწინარესად, ხალხთან კავშირში, მისადმი ხალხის მხარდაჭერაშია. არმიის სული — ეს მისი მიზნის მთავარი პირობაა. არმიის ძლიერებისათვის მნიშვნელოვანია, თუ როგორია მისი შეიარაღება, მომზადების დონე და დისციპლინა. ნორმალური არმიისათვის დისციპლინა საფუძველთა საფუძველია. უიმისოდ არმია — ეს არის ომისათვის გამოუსადეგარი ბრბო. დემოკრატიული სახელმწიფოს არმიის ჯარისკაცები უნდა აღიზარდონ პატრიოტულად, ხალხისა და სამშობლოსადმი სიყვარულით, მოქალაქეობრივი ვალის და საკუთარი ღირსების შეგრძნებით.

არმიისა და ხალხის შეგნება, რომ ომის მიზნები სასარგებლოა სახელმწიფოსათვის, საკუთარი ძალებისადმი რწმენა მტერზე გამარჯვების პირობაა.

პოლიტიკური მიზნით წარმოებულ ომში გამოიყენება ძალმომრეობის ერთ-ერთი ყველაზე უკიდურესი ფორმა — შეიარაღებული ძალადობა.

ომის პერსპექტივები ეყრდნობა მატერიალურ ფაქტორებს, ანუ შეიარაღებული ძალადობა მატერიალურ შესაძლებლობაზეა დამოკიდებული.

ომის პროცესში მორალური ელემენტი მატერიალურ ძალად გარდაიქმნება. სამართლიანი მიზნებისათვის მებრძოლ არმიას უფრო მაღალი იდეალები აქვს, უფრო მტკიცე და გამბედავია.

ახალი იარაღის გამოჩენა სამხედრო საქმეში გადატრიალების ტექნიკურ შესაძლებლობას ბადებს. როდესაც ახალი იარაღის გავრცელება ჯარებში განსაზღვრულ დონეს აჭარბებს, ძირეული ცვლილებები ხდება თავად სამხედრო საქმის საფუძველშიც. ისევე როგორც პირად შემადგენლობაში ხარისხობრივ ცვლილებათა მასობრივ ხასიათს, ბრძოლის მხოლოდ ახალ, უფრო სრულყოფილ საშუალებებს მივყავართ გადატრიალებისაკენ ომის წარმოებაში.

ომის პრობლემის გამოკვლევაში ცენტრალური ადგილი უჭირავს შესაძლებელი ომის თავისებურებათა საკითხს.

თანამედროვე ომში ქრება მკვეთრი ზღვარი ზურგსა და ფრონტს შორის. ომის შედეგი ამ აზრს განსაზღვრავს არა მხოლოდ გადამწყვეტი გამარჯვებებით ფრონტზე, არამედ, აგრეთვე, ზურგის საწარმო ძლიერებით, მისი ორგანიზებულობით და სიმტკიცით.

ომი არ ამოიწურება ოდენ საომარი ოპერაციებით, ის მიმდინარეობს ეკონომიკურ, დიპლომატიურ, იდეოლოგიურ სფეროებშიც. კლაუზევიცის სიტყვებით, „ომი არ არის გასართობი, ომი არ არის თამაში, არც ცოცხლად გადარჩენის რისკია, ასე თავისუფალი შთაგონების საქმე; ომი — ეს მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევის სერიოზული საშუალებაა“. მეორე სამხედრო თეორეტიკოსი, რუსი გენერალი ფ.ბერნგარდი, თავის წიგნში „მომავლის ომის შესახებ“, წერდა: „ომის წარმოება არ შეიძლება ისე, როგორც ყაჩაღობანას ან ჯარისკაცობანას თამაშიც. ომი მთელი მოსახლეობისაგან მოითხოვს დაძაბვას, რომელიც გრძელდება წლობით და ეს დაძაბულობა არასოდეს ნელდება, თუკი ხალხს ომის გამარჯვებით დასრულება სურს“.

ომის დაწყებისას, რასაკვირველია, არავინ ფიქრობს დამარცხებაზე. ასე რომ არ იყოს, ომს, უბრალოდ არავინ არ დაიწყებდა. არც გერმანელებს 1941 წლის 22 ივნისს, არც იაპონელებს თავდასხმისას, არ უზრუნიათ შედეგების პროგნოზზე, რადგანაც ამ სახელმწიფოების საჰხედრო წრეებში დაივიწყეს კლაუზევიცის თეზისი, პოლიტიკის პრიმატისა და ომის წარმოების [illegible] მაგიეროდ მძლავრობდა მოლტკეს თვალსაზრისი პოლიტიკისაგან ომის ემანსიპაციის შესახებ.

ამჟამად საქართველო დგას იმ ისტორიული არჩევანის წინაშე, რომელიც მას აფხაზეთის კონფლიქტის ღირსეულად მოგვარებაში დაეხმარება. ჩემი შეხედულებით, მისაბაძია ისრაელის სახელმწიფოს მაგალითი, რომელმაც ძნელ სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში შეძლო შეენარჩუნებინა სახელმწიფოებრიობა და წამყვანი პოზიციები დაეკავებინა მსოფლიოში.

ომის საერთო ხელმძღვანელობა, მის მხედრულ ჩარჩოებშიც კი, უკვე იმდენად რთული საქმეა, რომ მისი მხოლოდ ერთი პირისათვის დაკისრება დაუძლეველი ამოცანაა. ამ სამუშაოს შესრულება ძალუძს მხოლოდ კვალიფიციურ შტაბს, რომელმაც უნდა დასძლიოს ადგილობრივი რეგიონული ინტერესები.

შტაბი, გერმანელი გენერლის შლიფენის სიტყვებით, „უფრო უნდა იყოს, ვიდრე გვეჩვენებოდეს“, რისთვისაც, სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე ვერ მიგვიღწევია.

თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს შექმნა და მისი არსებობა ბევრი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. ამ საბჭომ ომის დასაწყისიდანვე ხელში უნდა აიღოს მთლიანად ომის პროცესის მართვა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესაბამისად წარმართვა.

დღეევანდელი ომი ძალ-ღონის გამოცლამდე ბრძოლის ხასიათს იღებს და, სამწუხაროდ, უნდა დავადასტუროთ, რომ ჩვენ არა ვართ მზად ომში ძალთა ხანგრძლივი და ინტენსიური დაძაბვისათვის; საამისოდ არ არის მზად ჩვენი ეკონომიკა, საამისოდ არ არის მზად ხალხის მორალური სულისკვეთებაც.

რესპუბლიკას არ გააჩნია ნედლეულის მარაგი, მოშლილია ფინანსური სისტემა, არ არსებობს სამხედრო მრეწველობა, პარალიზებულია ტრანსპორტი.

ამჟამინდელი მომენტის ტრაგედია ის არის, რომ ჩვენ წამოვიწყეთ თუ მივიღეთ თავსმოხვეული ომი ისე, რომ არ გვყავდა არმია. მაგრამ ეს ობიექტური კანონზომიერებაა, იმდენად, რამდენადაც არმია — ეს სახელმწიფოს ტვირთია, თავად სახელმწიფოა, სახელმწიფო კი, როგორც ასეთს, ჩვენ ეს-ეს არის ვქმნით. ჩვენთან შეიარაღებული თუ გასამხედროებული ფორმირებები, რომლებმაც საკუთარ თავს არმიის სტატუსი მიანიჭეს, ჩვენი საზოგადოების აღზრდით არიან დაკავებული, როდესაც პირიქით უნდა ხდებოდეს — საზოგადოება უნდა ზრდიდეს მათ. თუმცა, სნეული საზოგადოება მხოლოდ მახინჯ, არმიის მსგავს წარმონაქმნს გაზრდის.

ჩვენი სახელმწიფოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური, რთული სამხედრო ვითარების, კრიტიკული კრიმინოგენული სიტუაციის გათვალისწინებით, პირადად მე, პარლამენტის სხდომაზე რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სამხედრო მდგომარეობის შემოღების საკითხს დავაყენებდი და მთელი ამ დროის მანძილზე საგანგებო კანონმდებლობის დაწყებას ვისურვებდი. მხოლოდ ამ გზამ შეიძლება მიგვიყვანოს გამარჯვებამდე და ერთიანების საბოლოო სტაბილიზებამდე.

კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა საგანგებო ყრილობის მიმართვა სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტისა და მთავრობისადმი

საქართველოს რესპუბლიკის დედაქალაქში უკვე სამ წელიწადზე მეტია, რაც ფუნქციონირებს სახალხო-სანედლეულო, საფინანსო და სავალუტო ბირჟა — „კავკასიის ბირჟა".

ვინაიდან მას არ გააჩნია საკუთარი შენობა, 1991 წ. 3 ივნისს „კავკასიის ბირჟასა" და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „რადიანს" შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება შენობის ნაწილის იჯარით აღების შესახებ 5 წლის ვადით — 1996 წლის 3 ივნისამდე.

1994 წ. 17 მაისს საქალაქო სასოგადოება „კავკასიის ბირჟამ" მიიღო კიდევ ერთი ხერხოსნული და ძმიმე დარტყმა. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა, რომელმაც გასხა სკა „რადიანის" მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მესაკუთრე, კანონის სრული უგულებელყოფით ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება ჯადაზე ადრე ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ და მოითხოვა „კავკასიის ბირჟის" და მასთან არსებული სამეწარმეო სტრუქტურებისაგან შენობის დაცლა 1994 წლის 3 ივნისამდე.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ უშიშროების სამსახურის სპეციფიკიდან თუ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოთხოვნებს. მაგრამ იურიდიულად, ისევე მორალურადაც, მიუღებლად მიგვაჩნია ცალმხრივად ხელშეკრულების დარღვევა და ძალისმიერი მეთოდებით მოქმედება.

ვინაიდან „კავკასიის ბირჟას", შენობაში ქვეიჯარით ბანკებს, ფირმებს, საქცეთ სასოგადოებებს, სულ ორასამდე ორგანიზაციას ორიათასამდე თანამშრომლით და ათასობით მეანაბრით, სხვა თავშესაფარი არ გააჩნია, ზემოაღნიშნული ფაქტი ნიშნავს მათ ქუჩაში გაყრას და ღია ცის ქვეშ დატოვებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიღებული კანონმდებლობა უნდა იყოს დაცული ყველა სტრუქტურის მიერ. მართველობის ორგანოს — უშიშროების სამსახურს არა აქვს უფლება ხელშეკრულების ცალმხრივად დარღვევა. ეს სასამართლოს პრეროგატივაა.

ყრილობა მოგმართავთ „ითხოვნით მიაქცეთ ყურადღება აღნიშნულ ფაქტს და წინ აღუდგეთ ამ უკანონო და ბარბაროსულ აქტს.

30.05.94 წელი

კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა საგანგებო ყრილობის რეზოლუცია

ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში დემოკრატიის და კეთილდღეობის დამკვიდრების ერთიანი გზას წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ამას უნდა მოჰყვეს გარაზილების ცენტრალიზებული მექანიზმების და შესაბამისი სტრუქტურების გაუქმება და ახალი საბაზრო მექანიზმის ამუშავება. საქართველოშიც დეკლარირებულია საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის კურსი. მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება აქ ძალზე ძნელად და მტკივნეულად მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში გადადგმულ იქნა ნაბიჯები ფულადსაკრედიტო და საგადასახადო სისტემის მოწესრიგებისაკენ, მიღებულ იქნა რადიკალური ბრძანებულება პრივატიზების დაჩქარების შესახებ და მოხდა გარკვეული, პოზიტიური ხასიათის ცვლილებები, დღეს საქართველოში ეკონომიკური რეფორმის პროცესის შეუქცევადობა ჯერ კიდევ ეჭვის ქვეშაა და მას რეალურად ეშუქრება დრომოჭმული წესწყობილების რესტავრაციის საფრთხე.

ძველი სამეურნეო სტრუქტურები, ცდილობენ რა შეინარჩუნონ მონოპოლისტური პოზიციები, ხშირად ყველა ზომებს მიმართავენ ახლად აღმოცენებული საბაზრო მექანიზმების ჩახშობად. პარლამენტის არასაკმარისი კანონშემოქმედებითი საქმიანობის გამო მართვის მარეგულირებელი და სამართალდამცავი სადგურებიც მათ ხელში აღმოჩნდა და ისინი ხშირად ამ ბერკეტებს სწორედ სახელმწიფო მონოპოლისტური სისტემების პროტექციონისტული პოლიტიკისთვის იყენებენ. უჭირთ რა უსმენენ საარსებო გარემის თავისუფალ მეწარმეობას. უფრო მეტიც, სახელმწიფო უწყებრივი სტრუქტურები და უმსხვილესი საწარმოთა გაერთიანებები ახორციელებენ არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ კონსალთინგს.

დღეს ვაწყდებით იმ შესაძლებლობის რეალიზაციის შემოხვევებსაც, რომლებიც სოციალიზმის ბოლო პერიოდშიც კი ანაქრონიზმად იყო მიჩნეული, ხოლო თავისუფალი სამეწარმეო სტრუქტურების უსაფუძვლო ლანძღვა ხულ უფრო ხშირად გაისმის, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური წყაროებიდან. მათ წინააღმდეგ წაყენ ასმაის ყოველად უმასუხისმგებლო პოპულისტური განცხადებები ცრუ სოციალურ სამართლიანობაზე, რომლებიც ორიენტირებულია სოციალიზმის წლებში მიღწეულ ცნობიერებისკენ.

ყოველივე ზემოაღნიშნული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო საქართველო გადაიქცა მეწარმეობის განვითარებისათვის და ინვესტირებისთვის არა ხელსაყრელ ზონად და აისულა. ბიზნესმენია უმრავლესობა შეეწყვეტა საქმიანობა, ან გადასახლებულიყო სხვა ქვეყნებში და იქ მოეხდინა თავისი შესაძლებლობების რეალიზება. საქართველოში ოფიციალური საქმიანი აქტივობა კატასტროფული ტემპებით ეცემა.

მიუხედავად ამისა, კერძო ბიზნესის წარმომადგენელთა საგანგებო ყრილობა აცხადებს, რომ, ერთის მხრივ, საქართველოში ხელისუფლების მიერ შექმნილი შედარებითი სტაბილურობა და, მეორეს მხრივ, პოლიტიკურ წრეებში არსებული უაღრესი დაძაბულობა განსაზღვრავს დღეკანდელ მდგომარეობას, როგორც, შესაძლოა უკანასკნელ შანსს დაიწყოს რეალური თანამშრომლობა თავისუფალ მეწარმეობისა ხელისუფლებასთან. თუმცა, აღნიშნული თანამშრომლობა შეუძლებელი გახდება, თუ ხელისუფლება არ განაგრძობს თავის ხურვალსა და უარს დაუყოვნებლივ გაატარეთ რეფორმები და უმოკლეს ვადაში დაიწყოს და განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1. შეჩერდეს და აამოქმედოს საბაზრო ეკონომიკისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა;

2. დაარეგულიროს და დასრულდეს სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი, როგორც კერძო საკუთრების და სათანადო ურთიერთობების საბოლოო დამკვიდრების უმთავრესი ფაქტორი;

3. აამოქმედოს მაკროეკონომიკური საბაზრო მექანიზმები და უმრუნველყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, რათა ბუნებრივი გზით აღმოფენილ იქნას ეროვნული ვალუტის სტაბილურობა და კონვერტირებადობა;

4. განახორციელოს საფინანსო-საბანკო სისტემის რეორგანიზაცია თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად. ხელი შეუწყოს თავისუფალი საბანკო კონკურენციის განვითარებას;

5. მოახდინოს სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციების გამიჯვნა და მკაცრი რეგლამენტირება. განაგრძოს ბრძოლა კრიმინალურ სამყაროსთან ქვეყანაში წესრიგის და სტაბილურობის შენარჩუნების გარანტიად.

6. განახორციელოს საბიუჯეტო სარჯების შემცირება მართველობითი აპარატის შეკვეცითა და სოციალური დახმარებების მისამართობლივ სისტემაზე გადასვლით;

7. შეასრულოს სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია — განამტკიცოს რა საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების ეფექტური ფუნქციონირება ბიუჯეტში რეალური შემოსავლების მიღების მიზნით;

8. არ დაუშვას ადამიანის უფლებების დარღვევა საქართველოში. კერძოდ შეწარმის ძირითადი ეკონომიკური უფლებების დაცვა აკკანონი იქნას სახელმწიფო რანგში და მისი შესრულება განხილოს როგორც საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის დამკვიდრების ძირითად საფუძველად.

ზემოაღნიშნული მოსახლეობა ეკონომიკური რეფორმის ღონისძიებათა მცირედი ნაწილია. ამიტომ მათი შეუსრულებლობა დამანგრეველი იქნება ხელისუფლების ყველა შტოს ქმედითუუნარობისა და შეუძლებელს გახდის მეწარმეების შემდგომ თანამშრომლობას მასთან.

ყრილობა ქართველი ერის წინაშე აცხადებს, რომ დღეს არავის არა აქვს უფლება ხელიდან გაუშვას შეთანხმების მიღწევის შანსი და გამოთქვამს იმედს, რომ ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი თავის ძირითად მიზნად ხალხის კეთილდღეობას გადააქცევს, რაც მეწარმეობის აღორძინების გარეშე შეუძლებელია.

დათო ქალდანი



კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი დაიღუბა ნაძირალა ბოროტმოქმედის ხელით, კიდევ ერთი ოჯახი დაობლდა, კიდევ ერთი საიმედო ბურჯი გამოეცალა ჩვენს სამშობლოს.

26 წლის ასაკში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არაკაცის ხელით წუთისოფელს გამოესალმა დათო ქალდანი, საგზაო პოლიციის სერუანტი. თავისი საქმის ერთგული, მამულისათვის თავდადებული ვაჟკაცი, რომლის სახელიც მარად დაუვიწყარი იქნება მისი თანამებრძოლების, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა.

მეგობრები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

«იმერეთი»

იღებს და გასცემს შელავათიან პროცენტებში სავალუტო ანაბრებს თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებში:

1 თვე — 17 %
3 თვე — 63 %
6 თვე — 140 %
1 წელი — 260 %

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იმერეთის" სპეციალისტია მიერ მარკეტინგის, მენეჯმენტის საფუძვლების, სარეკლამო ბიზნესის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, აღგილმბრივი კომერციული გამოცდილება, ახლო და შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქმიანი თანამშრომლობა გაძლევთ მაქსიმალურ გარანტიას, რომ თქვენი ფული საიმედოდ იქნება დაბანდებული.

ჩვენი მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №79, მეცნიერებისა და ტექნიკის სახლი, II სართული, ოთახი №26. ტელ: 95-72—07.

ჩვენთან თანამშრომლობა უცილებელი წარმატებაა!

თუ გაწუხებთ შინაგანი ორგანოების (ღვიძლი, თირკმელები, კუჭ-ნაწლავი) დაავადებები, აგრეთვე ჭარბთმიანობა, ქერტლი, თმის ცვენა, ქავილი, ან გსურთ უბრალოდ გაიკაეთოთ თქვენი ჯანმრთელობა, ჩვენ გირჩევდით დამშვიდდეთ და შეეხმიანოთ სახალხო მედიცინის ჭეშმარიტ ჯადოქარს ქ-ნ დარიკო ნანობაშვილს.

იგი კურნავს მხოლოდ მცენარეებითა და ყვავილებით. მისი მეთოდები მრავალგზის აპრობირებულია და, რაც მთავარია, არ ეწინააღმდეგება სამედიცინო პრაქტიკას.

დაიხსომეთ ეს ტელეფონი — 38-74-01. ქ-ნი დარიკო გჯნიდის არა პაციენტთა ნაკლებობას, არამედ თქვენს ავადობას, რაშიც მისი უანგარობითაც დარწმუნდებით.

ნაპოვნია უცხოეთის პასპორტი გიგოშვილი
დავით გიორგის ძის. დარეკეთ
93-15-89 ან 36-37-33

გაზეთი „საქართველო" სამუშაოდ იწვევს გაზეთის კერძო გამავრცელებლებს. ანაზღაურება იქნება მაღალი.

ტელ: 93-18-41

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
გელა ებანოიძე
ხათუნა კვესელავა
ირმა ლომაური
მერაბ მაისურაძე
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

ტელ:
რედაქტორი: 93-20-36,
მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის
ინდექსი 66447

ფასი
50 000 კუპონი